

ISSN – 2667-9361

Vol 1, #1

ალტერბრიჯის სამეცნიერო ჟურნალი  
„თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“

მართვის და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი  
„ალტერბრიჯი“

2020 წელი

ნათია გოცაძე

Ph.D. საჯარო მმართველობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი  
„ალტერბრიჯი“

## ინტერპერსონალური კომუნიკაცია საჯარო სამსახურში

### Abstract

Communication is a two-way process that occurs through speaking, writing, listening and observing as individuals share ideas, thoughts and feelings.

A public servant is a person who exercises public legal powers as his or her main professional activity, which ensures his / her protection of public interests and is the basis for the creation of a transparent, accountable and quality-oriented public service that should provide fair and equal services to citizens.

The ability to communicate effectively is a foundational skill for professional development and as professionals, public servants need to be acutely aware of their communication skills and of how they give, receive and process information.

*საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, საჯარო სამსახური, ინტერპერსონალური ურთიერთობები*

### ინტერპერსონალური კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა

#### რა არის ინტერპერსონალური კომუნიკაცია?

კომუნიკაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც „აზრების, შეტყობინებების ან ინფორმაციის გაცვლა სიტყვიერად, სიგნალების, წერის ან ქცევის მეშვეობით“ (Houghton Mifflin Company; 2006).

ინტერპერსონალური კომუნიკაცია, ანუ იგივე პიროვნებათშორისი კომუნიკაცია გულისხმობს ურთიერთობას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის. ეს არის ინფორმაციის,

იდების, გრძნობებისა და შეხედულებების გაცვლის პროცესი ორ ან მეტ ადამიანს შორის (სუმბაძე, მახარაძე, 2010).

საჯარო სამსახურში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ინტერპერსონალური კომუნიკაცია ძირითადად პირისპირ ხდება, ამ შემთხვევაში ინფორმაცია იცვლება, როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებებით. კომუნიკაციაში ჩართული ადამიანები ურთიერთდამოკიდებულები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ადამიანის ქმედება სხვა ადამიანზე მოქმედებს, შესაბამისად, პირისპირი კომუნიკაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია პროცესში მონაწილე პირების ისეთ უნარებზე და როგორიცაა:

- ვერბალური კომუნიკაცია
- აქტიური მოსმენის უნარი
- სხეულის ენა
- გახსნილობა
- თვითფლობა
- რეფლექსია
- ემპათია
- უკუკავშირი

და სხვ.

პროცესის ეფექტიანობას ასევე განაპირობებს ციკლი, რომლის დროსაც ხდება შეტყობინების მიმოცვლა გადამცემსა და მიმღებს შორის.


### **ინტერპერსონალური კომუნიკაციის ციკლი**

კომუნიკაციის პროცესი წრიული ხასიათისაა და შედგება, როგორც ვერბალური - სიტყვების, მეტყველების საშუალებით მიმდინარე კომუნიკაციისგან (7%), ასევე არავერბალური - სიტყვების გარეშე, ხმის ტონის, მანერების, გამომეტყველების, გარეგნობის, პოზის, ჩაცმისა და ურთიერთობის მანძილის მეშვეობით კომუნიკაციისგან (93%) (Mehrabian. 2009).

კომუნიკაციის პროცესის ციკლი ასეთია: ერთი ადამიანი გადასცემს გარკვეულ ინფორმაციას მეორეს, ეს უკანასკნელი იძლევა პასუხს, ხოლო ინფორმაციის გადამცემი, პასუხის მიხედვით, აგებს თავის მომდევნო კომუნიკაციას. ამდენად, კომუნიკაცია მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორე მხარემ.

ქვემოთ მოყვანილი ძირითადი საკომუნიკაციო პროცესის მოდელი ძალიან მარტივად აჩვენებს გზას, რომლითაც ორი ადამიანი ურთიერთობს. დიაგრამაზე დაყრდნობით, გამგზავნი ახდენს თავისი ფიქრების / გრძნობების კოდირებას სიტყვებით და შემდეგ გადასცემს მათ მიმღებს. მიმღები ახდენს შეტყობინების დეკოდირებას და ავითარებს მიღებულ შეტყობინებასთან დაკავშირებულ აზრებს / გრძნობებს. ისინი შემდეგ ახდენენ თავიანთი ფიქრების / გრძნობების კოდირებას სიტყვებში და უგზავნიან შეტყობინებას უკანვე თავდაპირველ გამომგზავნს.

დიაგრამა 1 - კომუნიკაციის ციკლი



კომუნიკაციის ეფექტურობა მცირდება, როდესაც კომუნიკაციის ციკლის პროცესში ხდება გარკვეული სახის დაბრკოლება ან ჩარევა. ასეთ დაბრკოლებებზე შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ფაქტორები:

**ყურადღების გაფანტვა** - ფონური ხმაური, მოსმენის სირთულეები, სიცხე ან სიცივე, შეწყვეტინება, კონფიდენციალურობის ნაკლებობა, ფიზიკური დისკომფორტი და სტრესი - ყველა მათგანი წარმოადგენს შესაძლო ყურადღების გადატანის საბაზს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კომუნიკაციის პროცესს.

**რეკომენდაცია:** საჯარო მოხელე უნდა უზრუნველყოს, რომ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისას, მინიმუმამდე დაიყვანოს ყურადღების გამფანტავი ფაქტორები.

**ემოციები** - მწუხარებით, შფოთვით, რისხვით, თავდაცვით და სხვ. ნეგატიური ემოციით მოცული ადამიანები ხშირად შეკურობილი არიან თავიანთი მდგომარეობით და ამიტომაც, შეიძლება არ იყვნენ სრულად ჩართული მიმდინარე კომუნიკაციაში.

**რეკომენდაცია:** საჯარო მოხელე უნდა იყოს ლოიალური მათი ემოციების მიმართ, ვისთანაც აქვთ კომუნიკაცია და უზრუნველყოს გარემოებების სათანადოობა ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებისათვის.

**განსხვავებული ფონი:** შეიძლება ადგილი ჰქონდეს კომუნიკაციის პროცესში ჩარევას, როდესაც მიმღებს აკლია ცოდნა, განათლება, გამოცდილება ან ენობრივი კომპეტენცია გამგზავნის შეტყობინების გასაგებად.

**რეკომენდაცია:** საჯარო მოხელემ უნდა შეაფასოს იმ პირების ცოდნა, განათლება, გამოცდილება ან ენობრივი კომპეტენცია, ვისთანაც ამყარებს ურთიერთობას და მოახდინოს მათი შეტყობინებების სათანადოდ ადაპტირება, რათა უზრუნველყოს მიმღების მიერ გაგება.

**წინასწარი განწყობა:** წინასწარი განწყობა შეიძლება უკავშირდებოდეს რიგ ფაქტორებს, მათ შორის ასაკი, სქესი, რასა, კულტურა, რელიგია და ა. შ. ნეგატიურმა წინასწარმა განწყობამ სხვა ინდივიდის მიმართ ნებისმიერი მიზეზის გამო, შეიძლება პოტენციურად იქონიოს გავლენა კომუნიკაციის პროცესზე.

**რეკომენდაცია:** წინასწარი განწყობებისაგან თავდასაცავად საჯარო მოხელემ პატივი უნდა სცეს ყველას, როგორც ცალკეულ ინდივიდს განურჩევლად განმასხვავებელი მახასიათებლებისა.

**უკუკავშირის როლი კომუნიკაციაში**

უკუკავშირი არის ინფორმაციის მიწოდება მეორე ადამიანისა თუ ჯგუფისთვის იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ აღიქმება მისი ან მათი ქცევა სხვების მიერ. უკუკავშირი ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის სწორად შეფასებაში, არასასურველი ქცევის ან კომუნიკაციის სტილის შეცვლასა და შესაბამისად, მიზნის მიღწევაში.

უკუკავშირი კომუნიკაციის პროცესის კონტროლის საშუალებაა. მისი წყალობით გამგზავნი იგებს, როგორ აღიქვა, გაიგო და გააანალიზა ადრესატმა მიწოდებული ინფორმაცია. თუ გამგზავნმა დაინახა, რომ ადრესატმა ვერ გაიგო ან არასწორად გაიგო მიწოდებული ინფორმაცია, იგი ამარტივებს, უფრო ნათლად აყალიბებს მას და ხელახლა გზავნის.

ამრიგად, უკუკავშირი კომუნიკაციის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, გამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რამდენად იდენტურია ადრესატის მიერ აღქმული და გაანალიზებული ინფორმაციისა.

საჯარო მოხელემ კომუნიკაციის პროცესში შეიძლება გამოიყენოს უკუკავშირის როგორც პოზიტიური, ასევე ნეიტრალური და ნეგატიური სტილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში გათვალისწინებული იქნას ის მიზნები და შედეგები, რომელიც თითოეულ ამ სტილს ახასიათებს.

უკუკავშირის ტიპები, მიზნები, შედეგები და ეფექტიანობის ხანგრძლივობა ქვემოთ მოცემულ ცხრილშია აღწერილი.

ცხრილი 1 - უკუკავშირის სახეები

უკუკავშირის ტიპი	მიზანი	შედეგი	ეფექტი
პოზიტიური	დადებითი ქცევის განმტკიცება; წახალისება	ქცევის გამეორება	გრძელვადიანი
ნეიტრალური	ქცევის და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა; ინფორმირება	მცირე გამოხმაურება	მოკლევადიანი
ნეგატიური	უარყოფითი შეფასება; ქცევაზე ზემოქმედება	ქცევის შეცვლა	გრძელვადიანი

## ნეგატიური კომუნიკაციის უკუკავშირი

ნეგატიური კომუნიკაციის დროს მოვლენები არაშესატყვისად აღიქმება და ადამიანში ხდება შემდეგი ფსიქოლოგიური ცვლილებები:

- აღქმის შევიწროვება - ადამიანი აღიქვამს მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება მის პოზიციას;
- ტენდენციურობა - ადამიანი თავის სასარგებლო არგუმენტად იყენებს კონტექსტიდან ამოგლეჯილ მოვლენას ან ფრაზას;
- განზოგადოებები - ადამიანი საუბრობს არა კონკრეტულ ფაქტებზე, არამედ განაზოგადებს, იყენებს სიტყვებს: „არასოდეს...“, „ყოველთვის...“.
- პოლარიზებული აზროვნება - პიროვნება იკავებს უკიდურეს პოზიციას (ან \_ ან);
- გადაფასება - ადამიანი ახდენს დაპირისპირებულ მხარის უარყოფითი თვისებების გადაფასებას, მაქსიმალიზაციას;
- უარყოფითი იარლიყების მიწებება - „მატყუარა ხარ! უპასუხისმგებლო ხარ!“
- პრობლემის პერსონიფიკაცია - კონფლიქტში ჩართული მხარე ნებისმიერ პრობლემას მოწინააღმდეგე მხარის ბოროტ ნებას და განზრახვას მიაწერს;
- სხვისი „აზრების კითხვა“ - ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ დანამდვილებით იცის, თუ რას ფიქრობს კონფლიქტში ჩართული სხვა მხარე;
- არაობიექტური შეფასებები და დასკვნები - უარყოფითი ემოციების გავლენით ადამიანი „ცხელ გულზე“ აფასებს სიტუაციას/ოპონენტს და მიკერძოებული დასკვნები გამოაქვს. უკუკავშირის დროს კომუნიკაცია გაგებულია როგორც ცირკულარული პროცესი, რომელიც ერთდროულად მრავალ სიბრტყეზე (ვერბალურზე, არავერბალურზე და ა.შ.) მიმდინარეობს.

### რეკომენდაციები უკუკავშირის გამცემისთვის:

- ❖ აღწერე და არ შეაფასო – უკუკავშირის გამცემი მხოლოდ აღწერს თავის პირად აღქმებს, გრძნობებსა და დაკვირვებებს, გასცემს რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება, მისი აზრით, პრობლემის მოგვარება. ამასთან, იგი არ საყვედურობს, არ იწყებს მორალის კითხვას.
- ❖ თავდაპირველად მიაწოდეთ პოზიტიური უკუკავშირი, შემდეგ კრიტიკა – ასეთი მიდგომა მიძღვება კეთილად განაწყობს, იზრდება ნდობა და კრიტიკის მიმღებლობა.
- ❖ გაეცით კონკრეტული უკუკავშირი – უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ფორმულირებული და გასაგები. ამის მისაღწევად საუკეთესო გზაა უკუკავშირის გამცემის მიერ პრაქტიკული მაგალითების მოყვანა საერთო სამუშაო გამოცდილებიდან. ზოგადი და აბსტრაქტული უკუკავშირი არაფრის მომცემია.
- ❖ ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან – უკუკავშირის გაცემისას აუცილებელია, გამოვიყენოთ პირველი პირი, მაგ. “მე მიმაჩნია...” და არა “მიაჩნიათ”, “მიიჩნევენ”.
- ❖ დაიცავით კონფიდენციალობა – ყველაფერი, რაც უკუკავშირის დროს გამოითქმება, უნდა იყოს კონფიდენციალური და არავითარ შემთხვევაში ჯგუფიდან გარეთ არ უნდა გავიდეს.

- ❖ ურჩიეთ და არ აიძულოთ – ნუ იქნებით დირექტიული, ეცადეთ, გქონდეს თანამშრომლობითი ტონი.
- ❖ სხვისი თვალთ შეხედეთ პრობლემას – უკუკავშირის გამცემა უნდა იფიქროს არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებზე, არამედ, პირველ რიგში, უკუკავშირის მიმღებისაზე. გაწონასწორებული უკუკავშირი ყველა მონაწილის მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.
- ❖ გაეცით გამოსადეგი უკუკავშირი – აზრიანმა უკუკავშირმა გავლენა უნდა მოახდინოს უკუკავშირის მიმღებზე.
- ❖ მიაწოდეთ უკუკავშირი დროულად – უკუკავშირი მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მყისიერად გაიცემა იგი, მაგრამ გასათვალისწინებელია, მზად არის თუ არა იმ დროს ამისთვის მიმღები.

**რეკომენდაციები უკუკავშირის მიმღებისთვის:**

- ❖ იყავით აქტიური მსმენელი – ყურადღებით მოუსმინეთ უკუკავშირის გამცემს, თუ რაიმე ვერ გაიგეთ, დაუსვით კითხვები.
- ❖ არ დაიწყეთ დაცვა და დაპირისპირება – არ დაიწყეთ საკუთარი პოზიციის არგუმენტირება და დაცვა ისე, რომ ამან კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.
- ❖ შეაჯამეთ რა მოგცათ ამ კომუნიკაციამ - იფიქრეთ იმაზე, უკუკავშირის დროს რომელი რჩევაა თქვენთვის სასარგებლო.
- ❖ დაუბრუნეთ უკუკავშირი გამცემს – არ დაგავიწყდეთ, უთხრათ უკუკავშირის გამცემს, რა მიიღეთ მასთან კომუნიკაციის შედეგად. ასეთი მიდგომით უკუკავშირი შეიძენს წრიულ ხასიათს (Doppler, Klaus, 2005).

მამასადამე, უკუკავშირი შედეგიანია, თუ უკუკავშირის გამცემსა და მიმღებს შორის მყარდება ეფექტური კომუნიკაცია. უკუკავშირმა ორივე მიმართულებით უნდა მისცეს სტიმული რეფლექსიას და არ უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციის წყაროს მხოლოდ უკუკავშირის მიმღებისთვის.

**დასკვნა**

ინტერპერსონალური კომუნიკაცია, მნიშვნელოვანი ასპექტია საჯარო სამსახურის საქმიანობაში. საჯარო მოხელეები ინტერაქციას ამყარებენ მოქალაქეებთან, კოლეგებთან, სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა. და ამ პროცესის ეფექტიანობა დამოკიდებულია მათ კომუნიკაციურ უნარებზე.

„საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები პროფესიული ცოდნის შემდეგ მეორე ადგილზეა სამუშაოზე წარმატების მიღწევის ხელშეწყობაში” (Morgenstern Julie, 2004, 209). შესაბამისად, კომუნიკაცია წარმოადგენს პროფესიული განვითარების ფუნდამენტურ უნარს და როგორც პროფესიონალები, საჯარო მოხელეები მკაფიოდ უნდა იცნობდნენ თავიანთ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებსა და იმას, თუ როგორ გასცემენ, იღებენ და ამუშავებენ ინფორმაციას.

კომუნიკაციის პროცესი ეფექტურია, როდესაც გამგზავნი აგზავნის თავის შეტყობინებას, ხოლო მიმღები იღებს მას, შეტყობინება კი გაგებულია ორივე მხარის მიერ. გამგზავნის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს, რომ მიმღებმა მიიღოს შეტყობინება და რომ მიღებული შეტყობინება არის სწორედ ის, რაც მან გააგზავნა.

ეფექტური კომუნიკაციის ბარიერები შეიძლება მოიცავდეს ყურადღების გაფანტვას, დროის ცუდად განაწილებას, ემოციებს, განსხვავებულ ფონებსა და წინასწარ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესის ეფექტურობისთვის აუცილებელია საჯარო მოხელეებს ჰქონდეთ ასეთი ბარიერების ამოცნობისა და დაძლევის შესაძლებლობა.

ამრიგად, ინტერპერსონალური კომუნიკაციის მართვა საჯარო მოხელეებისთვის საჭირო ფუნდამენტური უნარია და ეფექტიანი საქმიანობის საყრდენს წარმოადგენს. ეს არის კომპლექსური და დინამიური პროცესების ჯაჭვი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებისა და ჯგუფების კოორდინირებულ მოქმედებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზაციის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემების მართვაში.

#### **ბიბლიოგრაფია:**

სუმბაძე ნ. მახარაძე თ., (2010). ინტერპერსონალური კომუნიკაცია. მომსახურების სფერო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი  
Doppler, Klaus; lauterburg Christoph, (2005). Change Management. Den Unternehmenswandel gestalten. Frankfurt/Main, New York  
Morgenstern, Julie, Making Work Work, (2004). Simon & Schuster, New York, NY; p. 209.  
Nonverbal Communication By Albert Mehrabian, (2009). Third paperback printing, USA  
The American Heritage Dictionary of the English Language (2006). Fourth Edition, Houghton Mifflin Company



მაკო ჯაოშვილი

PH.D. ასოცირებული პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“, კომუნიკაციის ექსპერტი

ლალი ბადრიძე

ქოუჩი, პოზიტიური ფსიქოთერაპევტი

## პოზიტიური ფსიქოთერაპიული მიდგომა

### საზოგადოებრივ ურთიერთობებში ბალანსის მისაღწევად

#### Abstract

At any stage of life, any organization or person has overcome some kind of difficulty. Positive Psychotherapy, based on the principle of “Here & Now”, teaches us the right analyses of the existed reality, helps to discover our own resources and expand opportunities to find the solution. It’s one of the most human approaches that we can use on the one hand, to better understand our own “I” on the personal level and on the other hand, to manage multifaceted interpersonal relationships at the level of organizational culture.

The article discusses the interpretation of this unique model from a wide perspective, which in people interaction leads to the love of people, understanding each other and through the so-called WIN-WIN tactics can create the team oriented on self-development. It’s well known that if we want to understand us, first we should listen to understand them. This is what helps us to be a leader in managing change, to act in the common interest and to improve the existing reality with our personal responsibility. Here is described the current trends of PR in an original way and tells briefly how professionals in this field can develop skills through a positive psychotherapeutic model to achieve a harmonious balance between internal and external communications.

*საკვანძო სიტყვები: ამბის მოყოლა, „აქ და ახლა“, ჰუმანისტური მიდგომა, ჰარმონიული ბალანსი, საზოგადოებრივი ურთიერთობები*

ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია. ჩვენი სამყაროც შეიცვალა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად, მოწმენი გავხდით, როგორ იქმნება „ურთიერთგადაჯაჭვული“ საზოგადოება, რომლის მთავარ ნიშანს კულტურული ნაირგვარობა წარმოადგენს. დღევანდელი მრავალკულტურული სოციუმისთვის სახასიათოა გახსნილობისა და კომუნიკაბელურობის მზარდი დინამიკა. თუმცა, ამის მიუხედავად, პიროვნებიდან დაწყებული ორგანიზაციებისა

და სახელმწიფოთა დონეზე ხშირად ურთიერთობათა დისბალანსია, რაც გაუგებრობათა ჯაჭვურ რეაქციას წარმოშობს.

ადამიანი მარტოდენ უნიკალური ქმნილება როდია, ის შემოქმედიცაა. თუმცა რას შექმნის, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული აღზრდის თავისებურებებზე და გარემოზე, სადაც ყალიბდება და ვითარდება. ადამიანთა ბუნების უცნაურ სახასიათო თვისებას წარმოადგენს ფაქტი, რომ მათი ქმედებები განსაზღვრულია არა თავად რეალობის არსებობით, არამედ სუბიექტური აღქმით ამ რეალობის მიმართ. მიუხედავად ობიექტური ჭეშმარიტებისა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია შინაგანი განუყოფელი ღირებულება, ხშირად ისინი მოქმედებენ იმგვარად, თითქოსდა ამ ღირებულებას საერთოდ არ ფლობენ (Peseschkian, 2016). ეს განპირობებულია იმით, რომ არ აქვთ ღრმად გაცნობიერებული საკუთარი ფასეულობები. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან აზრთა შორის სხვაობა და ამით წარმოშობილი გაუგებრობა მიაწერონ კონკრეტული პიროვნების ქმედებებისა და გრძნობების თავისებურებებს, რაც დისკარმონიასა და კონფლიქტს იწვევს ურთიერთობებში.

პოზიტიური და ტრანსკულტურული თერაპიის ფუძემდებელი, ირანული წარმოშობის, გერმანელი მეცნიერი ნოსრატ პეზეშკიანი დაინტერესებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობებში კულტურის როლით. მისი პოზიტიური ფსიქოთერაპია, როგორც ტრანსკულტურული მიდგომა, ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანისტური მეთოდია, რომელმაც თავის თავში გააერთიანა ანალიტიკური, ღრმა ფსიქოლოგიური ქცევის ელემენტები (Peseschkian, 2010). ის ეფუძნება 20-ზე მეტი კულტურის შესწავლა-გაანალიზებით ჩატარებულ ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევას. ამ მეთოდის შექმნისათვის პეზეშკიანი ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე.

უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, რაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, განვმარტოთ რა არის კულტურა. ფართო ცნებით იგი მოიცავს გამოცდილებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა ტრადიციების, წარმოდგენების, ღირებულებებისა და ქცევის თავისებურებების სახით. მასში იგულისხმება ის წესები და ნორმები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ახდენენ საკუთარი სამყაროს ინტერპრეტირებას და ახორციელებენ ამა თუ იმ ქმედებას. ბუნებრივია, ნებისმიერ ქვეყანას, ქალაქს, ოჯახს, ორგანიზაციას თუ ცალკეულ პირს თავისი საკუთარი, განუმეორებელი, „განსხვავებული კულტურა“ გააჩნია.

საგულისხმოა, რომ პოზიტიური და ტრანსკულტურული მიდგომის გათვალისწინება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს (Peseschkian, 2011). საზოგადოებრივ ურთიერთობებს ცალკეული ინდივიდები ქმნიან და ბუნებრივია, მნიშვნელობა აქვს თითოეული მათგანის ხედვას, რადგან ამაზეა დამოკიდებული, როგორ დარეგულირდება საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები, ორგანიზაციის მიზნები თუ ამოცანები, როგორ განიხილება კონფლიქტები პიროვნულ თუ ორგანიზაციულ დონეზე, როგორ მოგვარდება ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემები, როგორ იმართება კრიზისული სიტუაციები და იგეგმება კრიზისის შემდგომი პროცესები.

პოზიტიური და ტრანსკულტურული ფსიქოთერაპია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მან თავი დაიმკვიდრა როგორც ყველაზე ჰუმანისტურმა მიდგომამ, რომელიც გვასწავლის, რომ ურთიერთობების დროს კონფლიქტის მიზეზების პასუხის მისაღებად საჭიროა დავსვათ შეკითხვები (Peseschkian, 2016). ერთ-ერთი ძირეულია: რა არის განმასხვავებელი და რა საერთოა დაპირისპირებულ მხარეთა შორის. ეს საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ თითოეული ადამიანის მენტალიტეტი, ხასიათი და რაც მთავარია, დავაფასოთ მისი უნიკალურობა.

ადამიანებს შორის დაბალანსებული ურთიერთობების შესაქმნელად პოზიტიური ფსიქოთერაპიული მოდელის სტრუქტურა გვეხმარება გავიგოთ, რომ შეხედულებათა შორის განსხვავებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუგებრობა, იმედგაცრუება, შიში, აგრესია და კონფლიქტი, თუმცა, მეორე მხრივ, ეს განსხვავებულობა შეიძლება აღვიქვათ, როგორც დამატებითი, შემავსებელი საზრისი, რომელიც სწავლის, ცოდნისა და ქცევის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე წამოჭრილ სირთულეთა დასაძლევად პოზიტიური ფსიქოთერაპია „აქ და ახლა“ პრინციპით აზროვნებას გვაჩვენებს. მისი მეშვეობით ვსწავლობთ არსებული რეალობის სწორ ანალიზს, რაც გვეხმარება აღმოვაჩინოთ საკუთარი რესურსები, გავიფართოვოთ შესაძლებლობები და მოვძებნოთ გამოსავალი.

საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებათა ფართო ჭრილში განხილვისას, დიდი როლი ენიჭება ადამიანებს შორის სიყვარულს, ერთმანეთის გაგებას და ე.წ. „მოგება-მოგების“ სამოქმედო ტაქტიკით თვითგანვითარებაზე ორიენტირებული გუნდის შექმნას. ცნობილი ბესტსელერის, „მაღალეფექტიანი ადამიანების 7 უნარის“ ავტორის, სტივენ ქავის ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, თუ გვსურს სხვებმა გაგვიგონ, ჯერ უნდა მოვუსმინოთ და გავუგოთ მათ (Covey, 2004). სწორედ ეს გვეხმარება ვიყოთ ლიდერი ცვლილებების სამართავად, ვიმოქმედოთ საერთო ინტერესების დასადგენად და პირადი პასუხისმგებლობით გავაუმჯობესოთ არსებული რეალობა.

რამდენადაც ეს **ჰუმანისტური მიდგომა** გამოიყენება როგორც საკუთარ „მეს“ შესაცნობად, ასევე ორგანიზაციული კულტურის დონეზე მრავალმხრივ პიროვნებათშორის ურთიერთობათა სამართავად, ჩვენ დავინახეთ ლოგიკური ბმა, როგორ მოვარგოთ იგი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა რეპუტაციის მართვა და კრიზისის პრევენცია.

აღიარებული ფაქტია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის თეორიები ორგანულად შეერწყა ფსიქოლოგიის არსებით საკითხებს. ამ ორ დისციპლინას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის პირველი ნიშნები გამოჩნდა გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა შორის გამორჩეულად ღირსეულმა წარმომადგენელმა, ედვარდ ბერნეისმა, თავისი ბიძის, ზიგმუნდ ფროიდის შეხედულებები მიუსადაგა კომუნიკაციის პროცესებს. ამით დაასაბუთა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით ინფორმაციის გადაცემისას რაოდენ მნიშვნელოვანია ცალკეული პიროვნების თუ პიროვნებათა ერთობლიობის ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინება. ბერნეისი თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებდა ფსიქოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებზე დამყარებულ ტექნოლოგიებს. მან კომუნიკაციებისა და მომხმარებელთა ქცევის ფსიქოდინამიკურ პროცესთა გაანალიზებით მიღებული გამოცდილება მეცნიერულად დახვეწა და შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა (უილკოქსი, 2011).

2010 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო პრაქტიკულმა გამოცდილებამ ფართოდ აღიარა დოქტორ ჯეიმს გრუნვიგის ფორმულირება, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები არის ორმხრივ სიმეტრიული კომუნიკაცია. ეს არის სტრატეგიული „დიალოგი“ ყველა დაინტერესებულ მხარესთან (უილკოქსი, 2011). ამ დარგის პროფესიონალებს გამოარჩევენ რამდენიმე არსებითი მახასიათებლით:

- შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნება
- მმართველობითი უნარი, ინტუიცია და მტკიცე ხასიათი
- სიტუაციის ობიექტურად აღქმა, ანალიზი და სინთეზი

➤ ოპტიმიზმი, იუმორის გრძნობა და მოსმენის უნარი იმისთვის, რომ მათ შეძლონ ეფექტურად დაგეგმონ საკომუნიკაციო კამპანიები, სწორად შეიმუშაონ ანტიკრიზისული პროგრამა და მართონ სტრატეგიული კომუნიკაციები, რეკომენდებულია დაეყრდნონ არტურ ჰეიჯის ცნობილ 7 პრინციპს (Morozoff, 2014). მივყვეთ მათ აღწერას პოზიტიური ფსიქოთერაპიული მოდელის ჭრილში და განვიხილოთ როგორ არის დაბალანსებული არსებული რეალობისთვის სახასიათო ტენდენციები.

**1. უთხარი სიმართლე** - საზოგადოებას აცნობე რაც ხდება, მიაწოდე ზუსტი, რეალისტური სურათი კომპანიის ფასეულობებისა და გამოცდილების შესახებ (Morozoff, 2014). მიმდინარე წლის ტრენდულ მიმართულებებს თუ გადავავლებთ თვალს, ნათლად გამოიკვეთა, რომ ბრენდის კომუნიკაციის მთავარი მამოძრავებელი გახდა ეთიკა და გამჭვირვალობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რამდენად დაცულია პირადი მონაცემები და უსაფრთხოება, როგორ მიმდინარეობს ინფორმირება, განათლება და ნდობის შენარჩუნება (Garvan, 2019).

**2. დაასაბუთე ქმედებით** - საზოგადოების მოლოდინი ნებისმიერი ორგანიზაციისადმი განისაზღვრება 90 % იმით, რასაც აკეთებს ორგანიზაცია და 10% - რას ამბობს; (მოროზოფი, 2014) აჩვენე ფაქტებითა და მაგალითებით რაში გამოიხატება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა. დღეს უკვე საკმარისი აღარაა მარტოოდენ იმის თქმა, რომ ხარ ეთიკური. კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ თავიანთი დანაპირები, მისდიონ თავიანთ ნათქვამ სიტყვას და ნებისმიერ კომუნიკაციაში გამოავლინონ თავიანთი ეთიკური ფასეულობები. რა სახის ინფორმაციასაც არ უნდა ავრცელებდნენ, მუდმივად უნდა იყვნენ ორიენტირებული ნათქვამის სიზუსტეზე, რეალურად მიმდინარე ფაქტებსა და მათ ობიექტურ ინტერპრეტაციაზე. პროფესიონალთა მიერ „ამბის მოყოლა“ სწორედ ამ სამ კრიტერიუმს უნდა ეყრდნობოდეს. გაინტერესებთ, როგორ შეგვიძლია კარგად მოვყვეთ ამბავი?! ამასთან დაკავშირებით გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და ასევე ABPR-ის დამფუძნებლის ანჟელა ბეთანქორთის რჩევას. (Graham McGregor, 2014) უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს:

- ✓ რა არის ყველაზე საინტერესო, რასაც ყოველთვის არ ვეუბნები სხვებს?
- ✓ რა იყო ყველაზე რთული / მძიმე, როცა წამოვიწყე ბიზნესი?
- ✓ რამ გამაბედინა გაბედული ნაბიჯის გადადგმა დამეწყო ბიზნესი?
- ✓ რა უნიკალური მახასიათებლები გამოარჩევს ჩემს გუნდს?
- ✓ რა არის ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც მინდა რომ სხვებმაც გაიგონ?
- ✓ რას მივადწიე განსაკუთრებულს, რაც სამოტივაციო იქნება სხვებისთვისაც?
- ✓ რა შემთხვევა ვურჩიო სხვებს საკუთარი გამოცდილების გაზიარებით?

**3. მოუსმინე მომხმარებელს** - იმისთვის, რომ კომპანია უკეთ მოემსახუროს თავის მომხმარებელს, უნდა იცოდეს მისი სურვილები და საჭიროებები (Morozoff, 2014). ამ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირები და ასევე, სხვა თანამშრომლები. ნებისმიერ დონეზე საურთიერთობოდ, ყოველთვის ყური უნდა დაუგდო და მხედველობაში მიიღო მომხმარებლის აზრი. კოგნიტური ფსიქოლოგიის ფართოდ გავრცელებული მიდგომა გვასწავლის, რომ ყურადღების გამოხატვა განსაზღვრავს, თუ როგორ ვახდენთ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომლის შედეგადაც მყარდება ნდობა. უამრავი კვლევით დასაბუთებულია, რომ გავლენის მოსახდენად არსებითი როლი ენიჭება გაიგო რა სურს მომხმარებელს და საინტერესოდ შესთავაზო მისთვის სასარგებლო ინფორმაცია. კარგად მუშაობს ე.წ. „სასიამოვნო

მოულოდნელობის“ ეფექტი. როცა ბრენდი მორგებულია მომხმარებლის ინტერესებზე, ბუნებრივია, ორივე მხარე მოგებული რჩება. ამიტომ, უახლესი მიდგომებით, წინა პლანზე გადმოვიდა მულტი-მედია კონტენტის შექმნა-გაანალიზება, „ამბის მოყოლა“ და ინფლუენსერების ჩართულობა.

**4. მართე პროცესები ხვალისთვის** - წინასწარ განჭვრიტე საზოგადოების რეაგირება და მინიმუმამდე შეამცირე უთანხმოების წარმომშობი საბაზი (Morozoff, 2014). ორგანიზაციის შიდა საკომუნიკაციო სტრატეგია ეფექტურ როლს ასრულებს კრიზისის მენეჯმენტის საკითხებში. აქ ორი მიმართულება გამოიყოფა: ერთი ე.წ. ხიდის ფუნქციის და მეორე, როგორც ბუფერული, რომელთა გამოყენებით საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებს სწორი შეკითხვების დასმითა და მოსმენილის საფუძვლიანი გაანალიზებით შეუძლიათ ურთიერთობათა მოწესრიგება, გაუგებრობისა და კონფლიქტის გამწვავების თავიდან არიდება. 2018 წელს სამხრეთ კორეაში 105 ორგანიზაციის გამოკითხვით ჩატარებულმა კვლევამ დაასაბუთა, რომ ის ორგანიზაციები, სადაც „შემაკავშირებელი ხიდის“ სტრატეგია წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას, უკეთ აგვარებენ კრიზისულ სიტუაციას ან მარტივად ახდენენ მის პრევენციას (Kim et al, 2017). ამით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უკეთ ახერხებს რეპუტაციის შენარჩუნებას.

**5. შექმენი საკომუნიკაციო აქტივობათა პოლიტიკა** - სტრატეგიული კომუნიკაცია ვერ ინერგება, თუ არაა გათვალისწინებული მისი გავლენა საზოგადოებაზე (Morozoff, 2014). ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენებით საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალები გაცილებით ეფექტურად ადგენენ საკომუნიკაციო გეგმას და მოქმედებენ სწორად დასახული სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. სანდიეგოს უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიმართულებით პროფესორ-ემერიტუსის და მკვლევარის სტივენ რობინსის განმარტებით სტრატეგია წარმოადგენს კომპანიის გრძელვადიანი მიზნებისა და გონივრულად შერჩეულ ქმედებათა ნაკრებს (რობინსი, 2008). მასში ზუსტად არის გათვლილი დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი რესურსი. სტრატეგიული აზროვნება ეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ეფექტურად დანერგოს საკომუნიკაციო აქტივობები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტულადაა აღწერილი რა ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებაზე ყოველი ცალკეული შედეგი (Lusy, 2019).

**6. შეიმუშავე კორპორაციული კომუნიკაციები**- კომპანიის შესახებ ნებისმიერი მოსაზრება განპირობებულია თანამშრომელთა სიტყვით /ქმედებით (Morozoff, 2014). ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი წარმოადგენს ე.წ. „ელჩს“ და ქმნის საერთო ხასიათს. დღესდღეობით, როცა კონკურენცია გამწვავებულია, მით უმეტეს, კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუნდის „შეჭიდულობა.“ ასეთ დროს ცვლილებებისადმი მოქნილობა, სტრესისადმი გამძლეობა და ურთიერთგაგება აუცილებელი წინაპირობაა ერთი მხრივ, არსებული ვითარების სწორად გაანალიზებისათვის, მეორე მხრივ, ორგანიზაციული განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლისთვის (რობინსი, 2009). კომუნიკაციის სპეციალისტები ითვალისწინებენ ფსიქოლოგიის როლს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობის პროცესში. ამისთვის, ისინი ქმნიან ერთიან კორპორაციულ კომუნიკაციას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი თანაბარზომიერად არის პასუხისმგებელი, რას როგორ იტყვის ან/და გააკეთებს, რითიც დაამახსოვრებინებს ორგანიზაციის სახელს, კრედოს თუ პროდუქტს.

**7. შეინარჩუნე სიმშვიდე, მოთმინება და წონასწორობა** - კრიზისის პირობებში ცივი გონებით კომუნიკაცია ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს (Morozoff, 2014). ცხადია, ასეთ დროს გონივრული ანტიკრიზისული გეგმის შეიმუშავება და დიდი სიფრთხილით გათვლილი

ნაბიჯების გადადგმა საჭირო. ასევე მნიშვნელოვანია, ვინ იქნება პასუხისმგებელი ორგანიზაციის სახელით კომუნიკაციის დამყარებაზე. განსაკუთრებული როლი ენიჭება ემოციების მართვას და სტრესისადმი გამძლეობას. თავისთავად, საზოგადოებასთან ურთიერთობა ერთ-ერთ ყველაზე სტრესულ პროფესიად ითვლება. ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ძალიან ეხმარება პოზიტიური აზროვნება. უამრავი კვლევით დასაბუთებულია, რომ ზოგადად, სტრესის მართვას აადვილებს საკითხისადმი რეალისტური მიდგომა და ოპტიმისტური განწყობა. ეს კი ხელს უწყობს:

- ✓ ფსიქოლოგიური ბალანსის დაცვას
- ✓ სტრესფაქტორების „განიარადებას“
- ✓ ჯანსაღ, მტკიცე ურთიერთობებს
- ✓ შინაგან სიმშვიდეს და სიღინჯეს

ზემოთ დასახელებულ ფაქტორთა ერთობლიობით ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი, შესაძლებელია დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა ორმხრივად სასარგებლო მიმართულებით წარიმართოს.

ხშირად ისმის შეკითხვა, როგორ ავსავთ საზოგადოებრივი ურთიერთობები ისე, რომ იყოს მართლაც ორმაგ სარგებლიანობაზე დაფუძნებული და ემსახურებოდეს ერთი მხრივ, ორგანიზაციის ინტერესთა გათვალისწინებას და მეორე მხრივ, შეინარჩუნოს ობიექტურობა ყველა სხვა ჩართულ პირთან მიმართებით. სწორედ აქ შემოდის ფსიქოლოგიის „მაგიურობა“, რაც გულისხმობს ქცევის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ასპექტების ცოდნას და იმ მიდგომებს, რომლებიც აადვილებს პიროვნებათშორის ურთიერთქმედებას. დააკვირდით სამომხმარებლო ქცევაზე გავლენის მოსახდენად რა ეტაპებს გადის მარკეტინგული ან საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და თვალნათლივ დაინახავთ როგორ მიიღწევა დასახული მიზანი (უილკოქსი, 2011). რა სახის კომუნიკაციასაც არ უნდა ვამყარებდეთ სამიზნე აუდიტორიასთან, ჩვენ წინასწარ უნდა ვპასუხოთ ოთხ საბაზისო შეკითხვას:

1. ვის მივმართავთ კონკრეტულ სიტუაციაში - ვინ არის მიზნობრივი სეგმენტი მოცემულ ეტაპზე და არა ზოგადად, ვინ გვინდა რომ იყოს;
2. რა ქცევითი მახასიათებლებით გამოირჩევა კონკრეტული აუდიტორია - რა არის მიზნები, მისწრაფებები, ინტერესები
3. რას აქცევენ ისინი ყურადღებას ანუ რითი გავხადოთ მიმზიდველი ჩვენ მიერ შემუშავებული არსებითი შეტყობინება
4. როგორ რეაგირებენ ისინი მიღებულ ინფორმაციაზე - რამდენად დაიმახსოვრებენ და რა შესაბამის ქმედებას განახორციელებენ.

კომუნიკაციაში გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს არავერბალურ ნაწილს ანუ შეგრძნებების, ემოციების, დამოკიდებულებების დონეზე რეალობის აღქმას და ამის შესაბამისად მიმდინარე ქცევით რეაქციებს. ნებისმიერი ჩვენგანის მიდგომა ამა თუ იმ მოვლენის, საკითხისა თუ პიროვნების მიმართ განისაზღვრება ჩვენი ემოციების, ფასეულობებისა და ხასიათის ერთგვარი ნაკრებით. ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ მიდგომების ჩამოყალიბებაში არსებითია სამი მთავარი კომპონენტი:

1. ემოციურ დონეზე - რას განვიცდით (ვგრძნობთ) კონკრეტულ სიტუაციაში
2. კოგნიტურ დონეზე - რას ვფიქრობთ აღნიშნულთან დაკავშირებით
3. ბიჰევიორულ ანუ ქცევის დონეზე - რას ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით.

პოზიტიური და ტრანსკულტურული ფსიქოთერაპიული მოდელი თავისი ღრმა შინაარსობრივი და დინამიკური ტექნიკით სწორედ ამ სამ შეკითხვაზე პასუხების შედეგად

გვეხმარება გავერკვეთ საკუთარ თავში, გულმოდგინედ მოვუსმინოთ და გავუგოთ გარშემო მყოფებს, აღმოვაჩინოთ მეტი რესურსი ჩვენში და ყველა იმ ადამიანში, ვისთანაც გვაქვს საქმიანი თუ პირადი ურთიერთობა. ზუსტად ამიტომ ის წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერ ორგანიზაციულ დონეზე პროცესების სამართავად და ჰარმონიულ ურთიერთობებში ბალანსის დასამყარებლად.

## ბიბლიოგრაფია:

- რობინსი ს. ჯაჯი ტ. (2009). ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბილისი, ილიას სახ. უნივერსიტეტი
- უილკოქსი ლ. კამერონი დ. ტ. გლენ, (2011), საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა, ნაწილი I, თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“
- Covey Stephen R., (2004). *The 7 Habits of Highly Effective People*, Pocket Books
- Graham M, (2014). *Million Dollar PR Advice*, vol.1, Retrieved from <http://mavensandmoguls.com/pdf/Million-Dollar-PR-advice-Vol-1.pdf> (Retrieved 25.04.2020)
- Garvan K., (2019). Top 5 Trends to Look for out in 2020, December, Retrieved from <https://www.mediatoolkit.com/blog/top-5-pr-trends-to-look-out-for-in-2020/> (Retrieved 25.04.2020)
- Kim, Soojin & Krishna, Arunima. (2017). Bridging strategy versus buffering strategy: enhancing crisis management capability in public management for relational and reputational improvement, and conflict avoidance. *Asian Journal of Communication*. 1-19. 10.1080/01292986.2017.1313876.
- Trapp N. L., (2019). Stakeholder Involvement in CSR Strategy-making Clues from sixteen Danish companies | Public Relations, *International Journal of Scientific & Technology*, Research Volume 8, Issue 10, October, ISSN 2277-8616 1993
- Lusy T. N et al. (2019). Public Relations Management Through Management by Objective, *International Journal of Scientific & Technology Research* 8 (10), IJSTR
- Morosoff J., (2014). Arthur Page's 7 Principles, September, Retrieved from <https://www.publicrelationsnation.com/2014/09/14/arthur-pages-seven-principles/> (Retrieved 24.04.2020)
- Peseschkian, N. (2010), Psychotherapy in Europe: About positive Psychotherapy. *International Journal of Psychotherapy*, 14 (3). Retrieved from [http://positum.org/fileadmin/user/pdf/Articles/Article\\_Intern\\_Journal\\_of\\_Psychotherapy\\_11-2010.pdf](http://positum.org/fileadmin/user/pdf/Articles/Article_Intern_Journal_of_Psychotherapy_11-2010.pdf) (Retrieved 25.04.2020)
- Peseschkian, N. (2011). The strategy of positive psychotherapy and positive family therapy on the cross-cultural point of view. *International Journal of Positive Psychotherapy and Research*, 1(1), 6-13. Retrieved from [http://www.positum.org/files/ppt\\_electronic\\_journal\\_-\\_final.pdf](http://www.positum.org/files/ppt_electronic_journal_-_final.pdf) (Retrieved 25.04.2020)
- Peseschkian, N. (2016). *In Search of Meaning*, Author House UK

ქეთევან ოთარაშვილი  
ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტის მაგისტრი

## კულტურათაშორისი კომუნიკაციების მნიშვნელობა კომპანიებისათვის

### Abstract

The increasing importance of intercultural communication is a consequence of the globalization process. The importance of communication management is growing day by day and offers companies new opportunities. Globalization is transforming mono-cultural companies into multicultural ones, which is a new challenge for company managers. Adapting to a foreign culture involves a number of stages. Proper management of the stages leads to further development and success of the companies. To be successful, companies need to be realistic. They have to identify their own cultural, ethnic, identity.

The territory of Georgia has been an area of intensive migration since ancient times. This has created multi-ethnicity in the country and the formation of a multicultural environment where there is a high level of recognition of different cultures. The flow of foreign investment into the country has increased since the 1990s, which has increased the impact of foreign cultures on local. Georgia is one of the countries whose economy is largely dependent on foreign investment. Therefore, the importance of coordinating intercultural communication in the country is especially great.

*საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, მენეჯმენტი, კულტურათაშორისი*

„კომუნიკაციის“ ერთ-ერთი მარტივი განმარტება ასეთია - „ინფორმაციის გაცვლის პროცესი ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის დახმარებით (<https://en.wikipedia.org/wiki/Communication>) ამ განმარტებაში ნაკლებად მარტივია „სიმბოლოთა საერთო სისტემის“ შერჩევა და „ინფორმაციის გაცვლის პროცესის“ მართვა. უმართავი ან არასწორად წარმართული კომუნიკაცია კი უმართავი და არასასურველი შედეგების მიზეზია, როგორც ინდივიდუალურ ისე გლობალურ ჭრილში.

ტრაფარეტული ფრაზა, გლობალიზაციას თანამედროვე მენეჯმენტისთვის არნახული შესაძლებლობები და სარგებელი რომ „მოაქვს“ ყველამ ვიცით, თუმცა „გლობალიზაცია“ არნახულ სიკეთე-სარგებელთან ერთად გამოწვევებისთვის არნახულ მზადყოფნას გულისხმობს.



გლობალიზაცია მენეჯერებს განვითარებისთვის სთავაზობს მულტიკულტურული კომუნიკაციების სინთეზს, რომლის სწორი მანიპულაცია ხელს უწყობს მათი კომპანიების ინტეგრაციას და ადაპტირებას როგორც გლობალურ, ისე ინტერპერსონალურ დონეებზე.

წინა აზრის ჩამოყალიბება გაცილებით მარტივად და გასაგებად რომ შეიძლებოდა ალბათ დამეთანხმებით, ასეა კომუნიკაცია - რაც მარტივია, მით ეფექტურია. გლობალიზაციის თანმდევი ეფექტია მონოკულტურული კომპანიების ტრანსფორმაცია მულტიკულტურულ ორგანიზმებად, ამ ორგანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა გამართული საკომუნიკაციო სისტემა.

ტრანსფორმაციისას კომპანიებმა უნდა გააცნობიერონ ის რისკები, რომლებიც თან ახლავს არაკოორდინირებულ კომუნიკაციას განსხვავებული კულტურების გადაკვეთისას.

ორგანიზაციული კულტურა განსაზღვრავს ორგანიზაციულ ქცევას, რაც თავის მხრივ დამოკიდებულებაა თანამშრომლების ფასეულობებზე, რომელიც სწორი კომუნიკაციის პირობებში უნდა ემთხვეოდეს კომპანიისას.

მენეჯმენტს შეუძლია ორგანიზაციული კულტურის მანიპულირებით დასახული მიზნების მიღწევა, ამიტომ ორგანიზაციული კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს მისი შემადგენელი ინდივიდების ინტერესების დაცვით. განსხვავებული კულტურული რესურსი ინექციისას, კომპანიებმა უნდა გააანალიზონ, რომ კომპანიის ახალბედა წევრებს უცხო გარემოში მოხვედრისას მოუწევთ რიგი ეტაპების გავლა. ადაპტაციის პერიოდი ხშირად იყოფა 5 ძირითად ეტაპად, რომლის გადალახვაც კომპანიის ჩართულობით უნდა მოხდეს:

1. „თაფლობის თვე“ – გარშემო ყველაფერი ახალი, განსხვავებული და დადებითია. ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, ადამიანი ენთუზიაზმითაა განწყობილი სიახლეებისადმი.
2. დაბნეულობა/დეზორიენტაცია – განსხვავებული გარემო, ახალ კულტურასთან შეგუება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სიახლის ეიფორია ეტაპობრივად ქრება, მას ანაცვლებს ყოველდღიური სამუშაო პროცესის სიძნელებები.
3. იმედგაცრუება – განსხვავებულ გარემოში ადამიანი თავს დაუცველად, ნეგატიურად განწყობა უცხო კულტურის მიმართ.
4. ავტონომიის დონე/შეგუების დასაწყისი – ადამიანი უფრო იმედიანადაა განწყობილი, რწმუნდება, რომ შეუძლია ახალ სიტუაციასთან შეგუება.
5. დამოუკიდებლობის საფეხური – ახალ კულტურასთან ადაპტაციის ბარიერი გადალახულია.

გარდა შიდა კულტურათაშორისი ბალანსისა ორგანიზაციებს უწევთ ამ ბალანსის დაცვა საველე პირობებშიც - პარტნიორებთან, კონკურენტებთან მომხმარებლებთან ურთიერთობისას.

საინტერესოა კულტურათაშორის კომუნიკაციების ქართული გზა და ტენდენციები - გლობალიზაციის ჭრილში განხილვაზე არანაკლებ საინტერესოა „ნიკოფსიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე დატოვებული“ ქვეყნის ქროსკულტურული

გამოცდილება. საქართველოს ტერიტორია უმველესი დროიდან ინტენსიური მიგრაციის არეალს წარმოადგენდა, ამან განაპირობა ქვეყნის მრავალ-ეთნიკურობა და მულტიკულტურული გარემოს ფორმირება სადაც მაღალია განსხვავებული კულტურის მიმდებლობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქროს-კულტურული კომუნიკაციების მართვის საუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს, რაც დადებითად აისახება თანამედროვე კომუნიკაციებზე ქართულ მენეჯმენტშიც.

ქროს-კულტურული კომუნიკაციების მნიშვნელობა იზრდება ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად, რადგან ამ დროს ინვესტიციის ნაკადის პარალელურად იზრდება ადამიანური კაპიტალის განვითარების შესაძლებლობა. ინვესტიციების მიღების თანმდევი პროცესია ინვესტორი ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გადმოძინება მიმღებ ქვეყანაში, რაც ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვისაც. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშირად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური „ნოუ-ჰაუ“ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციის მოზიდვის პროცესი გულისხმობს ინვესტორთან კომუნიკაციას. ამიტომ, გასათვალისწინებელია, რომ ბიზნეს კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციული ნაკადების, როგორც გარე, ასევე შიდა დინებებს. ამ ნაკადების მნიშვნელობა ბიზნესში განისაზღვრება იმით, რომ კომუნიკაციური პროცესის მონაწილეები ხშირად იმყოფებიან უცხო ქვეყნებსა და კონტინენტებზე და არიან სხვადასხვა კულტურის მატარებლები. ეს ქმნის კომუნიკაციის პრობლემებს, რომლებიც განპირობებულია კომპანიისათვის ჩვეული კურტურული საზღვრების დარღვევით, ასევე ენობრივი ბარიერით.

საერთაშორისო კომპანიის გარე საინფორმაციო ნაკადები მოიცავს უცხოელ ბიზნესპარტნიორებსა და მომხმარებლებთან, მოიჯარეებსა და მომწოდებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიან ურთიერთობებს. კანონმდებლობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, განსხვავებული ფასეულობები და ტრადიციები, ენობრივი ბარიერები დიდ გავლენას ახდენენ კომპანიის გარე კომუნიკაციაზე.

საერთაშორისო კომპანიებში კომუნიკაცია განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად და როგორ, რა სიჩქარითა და რა არხებით, ფორმალურად თუ არაფორმალურად ხდება მისი გავრცელება.

ბიზნეს კომუნიკაცია საქმიან ურთიერთობებში და მოლაპარაკებების დროს შესაძლებელია განხორციელდეს წერილობითი, ვერბალური, არა ვერბალური და ელექტრონული ფორმით. ზოგჯერ ბიზნეს სუბიექტები საფრთხეში იგდებენ თავს იმის გამო, რომ კომუნიკაციის ერთნაირ გზას ირჩევენ განსხვავებულ გარემოებებში (Thomas, 2008). ბიზნესში კომუნიკაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ორგანიზაციაში კომუნიკაციის დახვეწილ ჩვეულ ზომებთან ერთად შეიძლება გადაიდგას სხვა ნაბიჯებიც, რაც მიმართულია ენობრივი ბარიერების გადალახვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებისაკენ.

მულტინაციონალური კომპანიებისთვის ეფექტურია შიდა ქსელის შექმნა, რომელიც შიდა საფირმოა და მოიცავს მის ლოკალურ დაწესებულებებსაც. ეს ამარტივებს შიდა კომუნიკაციების პროცესს და ხელმისაწვდომობას, რადგან ყველასთვის ერთდროულად

ხელმისაწვდომია კომპანიის სიახლეები, ახალი ტექნოლოგიები, სტრატეგია, მარტივია თანამშრომლებს შორის ინფორმაციის ხარისხიანი გაცვლის პროცესი.

საქართველოს შემთხვევაში კულტურათაშორისი საკომუნიკაციო სისტემის შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება 90-ანი წლების შემდეგ, ამ პერიოდიდან იწყება ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, ბაზარზე ჩნდებიან სხვადასხვა სიდიდის საერთაშორისო კომპანიები, ისეთები როგორცაა: „კოკა კოლა“, „ჯეოსელი“. ასევე ბევრ ქართულ კომპანიაში ჩნდება უცხოური კომპანიების საინვესტიციო წილი - მათ შორისაა 1937 წელს დაფუძნებული „თბილელექტროქსელი“ (იგივე „თელასი“), რომლის 75 %-ის მფლობელი 1998 წელს „AES Silk Road Holding“ -ი ხდება. ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება უცხო კულტურების აქტიური ინექცია ქართულ ბიზნესში. კულტურათაშორისი კომუნიკაციების თავისებურებების გათვალისწინება აქტუალური ხდება საქართველოში არსებული კომპანიებისთვის, იმისდა მიუხედავად, რამდენად სცდება მათი საქმიანობა საქართველოს საზღვრებს.

კომპანიების სამუშაო ძალა ფორმირდება განსხვავებული კულტურის, რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისგან, რომლებსაც განსხვავებული საკომუნიკაციო სისტემა და სტანდარტები აქვთ. ყველა მათგანს შეაქვს გუნდში მისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული სამუშაო შტრიხი, რომელიც კომპანიაში ახალ, მულტიკულტურულ ატმოსფეროს აყალბებს (Harris, [Elashmawi](#), 1993).

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებული ასი ყველაზე მსხვილი კომპანიიდან ასივე შეიცავს უცხოური ინვესტიციის, როგორც მატერიალურ, ისე ინტელექტუალურ წილს. მულტიკულტურული გარემოს ფორმირება გლობალიზაციის თანმდევი, შეუქცევადი პროცესია, რომელიც განსაკუთრებულად საინტერესო გამოწვევაა მენეჯერებისთვის. მათ სწორად უნდა შეაფასონ კულტურის გავლენის ძალა და დაინახონ შესაძლებლობები და რისკები, რომელიც თან ახლავს უცხო კულტურის შემოსვლას მათ კომპანიებში.

მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მათ არსებულ და ახალ თანამშრომლებს მოუწევთ კომფორტის ზონიდან ტურბულენტურ ზონაში გადანაცვლება, რომელიც განპირობებული იქნება შიდა კონკურენციით, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გრძნობის შესუსტებით, ორივე მხარის მიერ მეორე მხარის უპირატესი ცოდნის ან საკუთარ რესურსის „შეუცვლელიობის“ ილუზიით, ქაოსური, არა სტრუქტურული კომუნიკაციით ([Richard](#), 1998). ამის დასაძლევად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკრეტული ქმედებების განხორციელება. მათ უნდა მოახდინონ საკუთარი კომპანიების კულტურული, ეთნიკური, გენდერული, ასაკობრივი იდენტიფიკაცია, განსაზღვრონ საკომუნიკაციო სტრატეგია და არხები, მართონ კომუნიკაციის პროცესი და უზრუნველყონ კომპანიის ფასეულობებისა და კულტურის ორგანული აღიარება თანამშრომლების მხრიდან. სტრატეგია და მიდგომები თავისთავად შესაძლოა განსხვავდებოდეს „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“, მაღალი და დაბალი კონტექსტის, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ჭრილში, თუმცა ფაქტია რომ კულტურათაშორისი „ხმაურის ჩახშობა“ და მულტიკულტურული კომუნიკაციური სტრატეგია კომპანიებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ახლა, რომლის სწორად წარმართვაც მათ შემდგომ წარმატება/წარუმატებლობას განაპირობებს.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მეტწილად უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებული. ქვეყანაში ნარჩუნდება ინვესტიციების ზრდის ტრენდი, რაც თავის მხრივ უცხო კულტურების შემოდინებას გულისხმობს, ამიტომ ქართული ბიზნესისთვის ქროს-კულტურული ბიზნეს გარემოს ფორმირება, კომუნიკაციების მართვის პროცესი ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს.

#### **ბიბლიოგრაფია:**

Harris Ph. R. and Elashmawi F. (1993). Multicultural Management: New Skills for Global Success, Houston, Texas: Gulf publishing company

Lewis R.D.(1998). Cross-cultural Communication, London: Axis Europe Limited

Thomas D. C. (2008). Cross-Cultural Management: Essential Concepts, 2nd Edition, Loss Angeles: Sage Publication

<https://www.my.gov.ge/ka-ge/services/6/service/179> (მასალა მოძიებულია 10.04.2020)

<https://forbes.ge/news/6055/reitingi-saqarTvelos-100-umsxvilesi-kompania> (მასალა მოძიებულია 12.04.2020)

<https://en.wikipedia.org/wiki/Communication> (მასალა მოძიებულია 22.04.2020)

ნინა ხატიაშვილი

საჯარო მმართველობის დოქტორი

ასისტენტ-პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო  
უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

## საჯარო სერვისები კულტურის სფეროში

### Abstract

The global financial and economic crisis, which began in 2007 and ended in 2010, has forced companies around the world to reconsider how they do business. Particular attention should be paid to financial institutions and their political will, so as to regulate their actions in order to protect those who easily entrust their finances to them. Emerging areas of social banking and social finance are recent efforts to incorporate broad aspects of capital, social value, and capital into our models of economic well-being. These are approaches to the financial industry that have emerged and attracted public attention mainly during the recent economic crisis. After this crisis, they can use useful lessons on how to improve local and global financial systems, using “best practical” examples.

Social banks were one of the most successful economic start-ups during the global economic crisis of 2007-2010, which increased annual capital by 30%, while most banks were hit by the economic crisis. Social banking is not a radical change of the capitalist system, but an improvement of its basic functions, using the practice of the triple profit principle, which defines three areas of focus: profit, people and the planet.

Thus, our goal is to briefly and simply explain the history, philosophy, current status, perspective of the social bank and what place they have in the global economy, as social banks are based all over the world and their interactions around the world create social finance development.

*საკვანძო სიტყვები: საბანკო ბიზნესი, სოციალური ბანკი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი*

მსოფლიო ქვეყნების მსგავსად, საბანკო ბიზნესი საქართველოს ეკონომიკაშიც დიდ როლს ასრულებს. ბანკების გამართული ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისა და სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს. საბანკო ბიზნესის განხილვისას მნიშვნელოვანია გაანალიზდეს მისი დანიშნულება როგორც ფისკალური, ასევე სოციალური მიმართულებით, რადგან სოციალური პასუხისმგებლობა გაცილებით ამაღლებს ბანკის მიმართ ნდობის ხარისხს. ამის საფუძველზე ბანკი განკარგავს თავის ფინანსებს გამჭვირვალედ და ზრუნავს ქვეყნის და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

დღესდღეობით, გლობალური შეთანხმების ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა ორგანიზაციათა მხრიდან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენას.

საერთაშორისო მასშტაბით ბანკების უმეტესობისთვის ერთ-ერთი ძირეული ფასეულობაა მომხმარებლისადმი ლოიალობა და კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიული განვითარება, რაც დადებითად აისახება ერთი მხრივ, ბანკის რეპუტაციის მართვაზე, მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაზე.

სტატიის მიზანია, საბანკო სექტორში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესასწავლად ისეთი არსებითი საკითხების შესწავლა, როგორცაა: მისი წარმოშობის ისტორია, ფილოსოფია, ამჟამინდელი მდგომარეობა და ადგილი გლობალურ ეკონომიკაში, CSR-ის განვითარების ტენდენციები მსოფლიოში და მისი გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე.

### **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)**

თანამედროვე მსოფლიო მწვავე სოციალურ პრობლემებში ცხოვრობს. მდგრადი განვითარების მართვის ახალი ეფექტური მოდელები, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია მთელ მსოფლიოში XX საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა და გახდა მდგრადი განვითარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არა მხოლოდ ბიზნესისთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობისთვის.

*CSR (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა)* გარკვეულწილად აბსტრაქტული კონცეფციაა, რადგან დღესდღეობით არ არსებობს მისი ერთიანი, უნიფიცირებული, ყოვლისმომცველი და ერთადერთი სრულყოფილი განმარტება. სოციალურ პასუხისმგებლობას კომპანიები ახორციელებენ ნებაყოფლობით, გამომდინარე პირადი შეხედულების და კომპანიის მოგების მიხედვით. სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომა კანონით არ არის დადგენილი. CSR კონცეფციის ინდივიდუალური ფორმები ყოველთვის იქმნება ამ თუ იმ კომპანიის მიერ დაინტერესებული მხარეებით. CSR კონცეფცია მოიცავს ეკონომიკურ, იურიდიულ, ეთიკურ და ქველმოქმედების შემცველ მოლოდინს, რომელიც საზოგადოებას აქვს კომპანიის მიმართ.

1953 წელს *ჰოვარდ ბოუენმა* გამოაქვეყნა წიგნი „ბიზნესმენის სოციალური პასუხისმგებლობა“, სადაც დაინერგა ტერმინი - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ასევე, ბოუენმა მოგვცა CSR-ის თავდაპირველი განმარტება. მან ის განსაზღვრა, როგორც ბიზნესმენების მოვალეობა, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები და დაიცვან ის სფეროები, რომლებიც სასურველი და შესაბამისია საზოგადოების მიზნებისა და ღირებულებების (Bowen H, 1953).

მეცნიერები აცხადებენ, რომ საბანკო ბიზნესის იმიჯი და სანდოობა დიდ რყევებს განიცდიდა ეკონომიკურ კრიზისში მისი მონაწილეობის გამო. დღეისათვის კი CSR კონცეფცია კომპანიებისთვის აღიქმება, როგორც რეპუტაციის გაუმჯობესების ყველაზე ეფექტური საშუალება.

### **სოციალური ბანკი**

ტერმინი „*სოციალური ბანკი*“ განვითარებად ქვეყნებში თვისობრივად სხვადასხვა კონტექსტით გამოიყენება. ერთი ნაწილი თვლის, რომ სოციალური ბანკი არის გამსესხებელსა და მსესხებელს შორის უშუალო კავშირის დამყარება სოციალური მიზნის მისაღწევად, მეორე ნაწილი თვლის, რომ ეს არის ბანკის ან მთავრობის მიერ გაწეული სუბსიდირება, მესამე - აფასებს, როგორც ქველმოქმედებად, ხოლო მეოთხე განიხილავს, როგორც პოზიტიური გავლენის მქონე ორგანიზაციას, რომლის მიზანია საბანკო საშუალებით დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებასა და გარემოზე, ეკონომიკურ ღირებულებასთან ერთად შექმნას სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებები.



ტრადიციულ (კომერციულ) და სოციალურ ბანკს შორის საქმიანი პროცესების მსგავსების მიუხედავად მთავარი განმასხვავებელი გახლავთ, ის, რომ ტრადიციული ბანკის ძირითადი სტრატეგია მაქსიმალური მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, რისთვისაც ის მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, ნერგავს ინოვაციურ, მაღალტექნოლოგიურ პროექტებს და კონკურენტულ გარემოცვაში პრესტიჟის გარანტიადაც შეიძლება მოვიხაროთ.

სოციალური ბანკების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მაქსიმალური გამჭვირვალობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკი მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას, როგორ იხარჯება ფული, სად ხდება ინვესტიციის განხორციელება და რას აწარმოებს. მათი მისიაა ხელი შეუწყონ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ის მომხმარებელს სთავაზობს მდგრად ფინანსურ მხარდაჭერას და მაღალი ხარისხის მომსახურებას. სოციალური საბანკო სიტემა ორიენტირებულია გამჭვირვალე ფინანსურ პასუხისმგებლობებზე და წინა პლანზე აყენებს ეთიკურ პრინციპებს.

სოციალური ბანკი საკრედიტო და საინვესტიციო შესაძლებლობებში თანაბრად ითვალისწინებს სამმაგ განსხვავებულ კრიტერიუმს:

- მოგება (ეკონომიკური რაციონალურობა, არ შეიძლება იყოს ზარალი, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკის სრულ განვითარებას)
- გარემო (ბუნებრივი გარემოს დაცვა და რესურსების მდგრადი მართვა)
- ხალხი (პრიორიტეტი საზოგადოების და მთლიანად საზოგადოების დაბალანსებული წახალისება).

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალური ბანკი მსოფლიოში სწრაფად განვითარდა, თუმცა არ არსებობს სოციალური ბანკის საყოველთაოდ მიღებული მკაცრი განსაზღვრება. მათი ტრანზაქციები ორიენტირებულია რეალური ეკონომიკის დაფინანსებაზე, ვიდრე სპეკულაციურ ბაზრებზე ვაჭრობასა და მსესხებლებისათვის ხელსაყრელი საკრედიტო პირობების შექმნაზე.

მსოფლიო ბანკის თანახმად ([www.worldbank.com](http://www.worldbank.com)) ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს:

1. პოლიტიკური მიმართულებებისა და ქმედებების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებული არის მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, ღირებულებებთან და კანონის უზენაესობის და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულებასთან, საზოგადოების ინტერესებთან;
2. ბიზნესის ფოკუსირებას მდგრად განვითარებაზე.

იგივე ორგანიზაციის ინფორმაციით მთავრობის როლი საკვანძოა, როგორც მარეგულირებელი და საბანკო საქმის ხელმძღვანელის, ფინანსური სისტემის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მთავრობის მიერ უნდა იმართებოდეს და რეგულირდებოდეს, ქვეყანაში საბანკო ბიზნესის ყოველდღიური საქმიანობა, ინკლუზიური და პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების მისაღწევად.

სოციალურად ორიენტირებული საბანკო სისტემის ფენომენი მე-20 საუკუნის 40-50 წლებიდან იწყება, როდესაც მსოფლიოში ჩამოყალიბდა სოციალურად ორიენტირებული საბანკო სისტემა, რომლის მისიას წარმოადგენდა შეექმნა საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ბიზნეს მისცემდა მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის საშუალებას, შესთავაზებდა მდგრად ფინანსურ პროდუქტებს და მაღალი ხარისხის მომსახურებას.

როლანდ ბენედიქტერის (Benedikter R, 2011) გადმოცემით, 2007 წლიდან 2010 წლამდე გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიწვა შეერთებული შტატები, ევროპა და მსოფლიო. 7 მილიონმა ამერიკელმა და 2 მილიონმა ევროპელმა დაკარგა სამუშაო, ხოლო 10 მილიონზე მეტი ადამიანი აიძულა გამხდარიყო სიდარისის ზღვარს მიღმა. ათასობით ოჯახმა დაკარგა საცხოვრებელი სახლი და ბევრმა - დანაზოგი. ყოველივე ამის ფონზე, მაღალი იყო სოციალური ბანკების მნიშვნელობა და მათი ტენდენციურობის ზრდა, მათი აქტივები კრიზისის ფონზე გაორმაგდა, განსხვავებით ტრადიციული ბანკებისა. ეს წარმატება გამოწვეული იყო, საბანკო მომხმარებლების მზარდი რაოდენობის დარწმუნებით, რომ სოციალური ბანკი არის ფულადი გარიგების ნაკლებად სპეკულაციური და უფრო პასუხისმგებლობის მქონე, ეთიკური და საზოგადოებაზე ორიენტირებული გზა, ვიდრე ტრადიციული საბანკო სექტორი და რომ სოციალური ბანკი უფრო მეტად ზრუნავს საზოგადოების პროგრესზე. შესაბამისად, სოციალური ბანკები იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფინანსური ინსტიტუტი მსოფლიოში 2007–2010 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, რომლებიც, გარდა იმის, რომ გადარჩნენ, საზოგადოების ნდობის შედეგად შეინარჩუნეს და გაზარდეს თავიანთი მასშტაბები.

სოციალური ურთიერთობები შედარებით ახალი მოვლენაა ბანკთაშორის და ფინანსური ინდუსტრიის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მათი „ძირითადი აზროვნება“ დაახლოებით 100 წლით თარიღდება, თანამედროვე ინსტიტუტებად ჩამოყალიბება 1970-იანი წლებიდან დაიწყო. დღეს, კრიზისის პიკის შემდეგ, სოციალურმა ბანკებმა წარმოიდგინეს საკუთარი თავი ისტორიაში უპრეცედენტო ვითარებაში და საკმაოდ მყარად ჩამოყალიბდნენ მსოფლიო მასშტაბით. მათი შეხედულებები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებით, წარსულში, რომელიც განიხილებოდა როგორც "ალტერნატივა" ან "ეგზოტიკური", საზოგადოებრივი დისკუსიის თანაფარდობის ნაწილი გახდა. მათ შექმნეს ალიანსები, რომ წარმოადგინონ „საუკეთესო პრაქტიკა“, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს საბანკო საქმიანობა და გააფორმონ ნაკლებად სპეკულაციური, უფრო რეალობაზე ორიენტირებული გზა, რათა თავიდან აიცილონ შემდგომი კრიზისი. ისინი იკვებებიან, როგორც პროგრესული, ე.ი. უფრო მეტად საზოგადოებრივი და ეკოლოგიური მიდგომებით კაპიტალთან და ფულთან მიმართებაში.

როლანდ ბენედიქტერის (Benedikter R, 2011) ინფორმაციით, ევროპაში სოციალური ბანკების უმეტესი ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობს, ინტენსიურ გაცვლაში ავითარებენ თავიანთ ზრდას და ინვესტიციურ სტრატეგიებს. პარალელურად, ისინი ავითარებენ თანამშრომლობას მთელ მსოფლიოში სოციალურ ბანკებთან. 2009 წლის მარტში თორმეტმა სოციალურმა ბანკმა დააფუძნა „გლობალური ალიანსი საბანკო ფასეულობებისთვის“ (GABV), მთავარი ოფისი ლონდონში, ხოლო, მას წინ უძღოდა 1989 წლის დასაწყისში, INAISE- ს (ინვესტორთა საერთაშორისო ასოციაცია სოციალურ ეკონომიკაში) ჩამოყალიბება. INAISE- ს მეშვეობით, მთელი მსოფლიოდან სოციალური ინვესტორები უერთდებიან ძალებს გამოცდილების გაზიარებისთვის, ინფორმაციის გავრცელებაში და იმის დემონსტრირებისთვის, რომ მართლაც შეიძლება ფულის გამოყენება სოციალური და გარემოსდაცვითი პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. გარდა ამისა, გასული წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა აკადემიური კვლევები და სამეცნიერო ჩართულობა სოციალურ ბანკთან და სოციალურ ბიზნესთან დაკავშირებით. შეიქმნა ისეთი ახალი ინსტიტუტები, როგორებიცაა “Skoll Center” სოციალური მეწარმეობისთვის 2003 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის საქმიან სკოლაში დაფუძნებული და სოციალური ბანკის ინსტიტუტი 2006 წელს გერმანიაში, ბოჩუმში გახსნილი.

ნაშრომში ვსაუბრობთ და განვსაზღვრავთ *სოციალურ ბანკს*, სწორედ როგორც საბანკო საქმეს, რომლის მიზანია საბანკო ოპერაციების საშუალებით დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებასა და გარემოზე.

*ოლაფ ვებერის* (Weber O, 2011) ინფორმაციით თანამედროვე სოციალური ბანკის წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადრეული სოციალური ტიპის ბანკი „*Montes di Pieta*” (იტალიის ცენტრალური ჩრდილოეთი რეგიონი), რომელიც შეიქმნა დომინიკელების და ფრანცისკანელების რელიგიური ორდენის მიერ იტალიაში XV საუკუნეში, რათა ღარიბებისთვის მიეცათ კრედიტის გაცემის შესაძლებლობა და ებრძოლათ უზნეობისთვის. ეს ბანკები თავისი შინაარსით რევოლუციური იყო, რადგან ავითარებდნენ კეთილდღეობას და არ იყვნენ მიმართული მხოლოდ მოგების მიღებაზე, ისინი მხარს უჭერდნენ პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ საქმიანობას და ეხმარებოდნენ ხელმომჭირნეებს. ასეთი ტიპის ბანკები იქმნებოდა ისეთი კლიენტებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა ძირითად საბანკო სერვისებთან, როგორცაა საკრედიტო ან შემნახველი საშუალებები. დღესდღეობით სოციალური ბანკინგი დიდწილად ემყარება ამ ბანკების ფილოსოფიას, რომელთაც, თავის დროზე შეძლეს შეექმნათ კულტურული ცვლილება ფინანსურ ბიზნესში და საზოგადოების სხვადასხვა დონეზე მდგრადი განვითარება.

1970-იანი წლებიდან დაწყებული თანამედროვე სოციალური ბანკების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პასუხი იმ დროისთვის პრობლემების მოგვარებაზე, როგორცაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული უფსკრული, გარემოს დაბინძურება, უთანასწორობა, სქესთა შორის და იმდროინდელ ზესახელმწიფოებს შორის სამხედრო კონფრონტაცია. ამრიგად, სოციალური და ეკოლოგიურად განწყობილი პროექტების მხარდაჭერით თანამედროვე სოციალურმა ბანკებმა (და ახლაც) განაპირობა ის, რომ მიზნად დაისახა საზოგადოების მრავალფეროვან დონეზე უფრო მდგრადი განვითარებისთვის ემუშავა.

ფრანს დე კლერკის (Frans de Clerck, 2010) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გერმანიაში 1974 წელს GLS Bank-ის დამფუძნებლები (დღეს ყველაზე დიდი სოციალური ბანკი *Gemeinschaft für Leihen und Schenken*, რომლის სახელი ნიშნავს სიტყვასიტყვით "საზოგადოებას სესხებისა და შემოწირულობებისთვის", აქტივები 2.2 მილიარდი დოლარით), პირველები იყვნენ, ვინც ყურადღება გაამახვილეს ფულად სესხებზე (ადამიანის ინტერესზე სტიმულირების მოსახდენად) და ფულად საჩუქარზე (ყველაზე პროდუქტიული საწყისი კაპიტალი). მათ, ასევე, ყურადღება გაამახვილდეს იმ შესაძლებლობების განვითარებაზე, რომლებიც აერთიანებდა ინვესტორებს და მსესხებლებს, მომხმარებლებს და მეწარმებს ინვესტიციებისთვის. GLS-სი საბანკო საქმეს განიხილავს, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობის მუდმივ და გაცნობიერებულ პროცესს, რომელიც საჭირო არის საზოგადოებისა და ადამიანის განვითარებისათვის. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და სხვა ადამიანებზე ზრუნვა განიხილება, როგორც ამ პროცესების ძირითადი მამოძრავებელი. ამგვარი ეთიკური მიდგომა საბანკო საქმეში, შთაგონება იყო სხვა მრავალი ევროპის სოციალური ბანკისთვის, რომელიც თანდათანობით განვითარდა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. მიუხედავად კულტურული განსხვავებებისა, ზომების მრავალფეროვნებისა, აქცენტების (სოციალური, გარემოსდაცვითი), პროდუქტებისა და მომსახურების, განვითარების ეტაპზე ყველა მათგანს აქვს ეთიკური და მდგრადი განვითარების ელემენტები თავისი მისიის, ამბიციებისა და პრაქტიკის საფუძველი. ყველა მათგანი კარგ საქმეს ქმნის ადამიანის და სოციალური განვითარებისათვის, ხოლო ზოგადად და სპეციალურად შემუშავებულ პროდუქტებსა და მომსახურებებს სთავაზობს შესაბამის ბაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ

ბევრმა მათგანმა განიცადა წარუმატებლობა, მათმა უმრავლესობამ იპოვა წარმატებისკენ მიმავალი გზა, ფუნქციონირების სხვადასხვა მოდელით და ზოგადი საბანკო წესების დაცვით.

დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს სოციალური ბანკები, რომელთა უმეტესი ნაწილი არის „გლობალური ალიანსი საბანკო ფასეულობებისთვის“ (GABV) წევრი. ეს არის სოციალური ბანკების მსოფლიო ასოციაცია, რომელიც მის წევრებს აღწერს, როგორც ბანკებს, რომელთა მთავარ მისიას წარმოადგენს „ინვესტიცია საზოგადოებაში, რომელიც აფასებს ადამიანის განვითარებას, სოციალურ გაერთიანებას და პასუხისმგებლობას ჩვენი ბუნებრივი გარემოსთვის“ ([www.gabv.org](http://www.gabv.org)). ალიანსი დაარსდა 2009 წელს და მისი მიზანია ბანკი წარმოადგენდეს საზოგადოების ჯანმრთელ და პროდუქტიულ სისტემას. ალიანსის წევრები არიან აზიის, აფრიკის, ავსტრალიის, ლათინური ამერიკის, ჩრდილოეთ ამერიკის და ევროპის ქვეყნები. 2020 წლის მონაცემებით, ალიანსი მოიცავს 62 ფინანსურ ინსტიტუტს და 16 სტრატეგიულ პარტნიორს; კოლექტიურად ემსახურებიან 67 მილიონზე მეტ მომხმარებელს, ფლობენ მენეჯმენტში გაერთიანებული აქტივების 200 მილიარდ დოლარზე მეტს და მათ 76,000-ზე მეტი თანამშრომელი უჭერს მხარს.

საბანკო ალიანსის (GABV) წევრ ფინანსურ ინსტიტუტებში შედიან მსოფლიო წამყვანი ბანკები, როგორებიცაა: *Triodos Bank (Europe)*; *GLS Bank (Germany)*; *Alternative Bank Switzerland (Switzerland)*; *Bank Australia (Australia)*; *Banca Etika (Italy, Spain)* და სხვა. მათი მისია დაფუძნებული არის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც სარგებელს მოუტანს ხალხს და გარემოს გრძელვადიან პერიოდში. მათ მიაჩნიათ, რომ ინკლუზიური დაფინანსება, საფუძველი არის იმის, რომ ფინანსები ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი, რადგან ფინანსურ სისტემაში ხალხის ჩაბმა ხელს უწყობს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა გლობალურ დონეზე ინდივიდების ცხოვრებაზე, ექსპერტების აზრით, კრიზისი გამოწვეული იყო მარტივი მიზეზით: ფინანსური სისტემა ორიენტირებული იყო საკუთარი ინტერესების განვითარებაზე, რამაც გლობალურ დონეზე მოგვცა ფინანსურ სექტორში საზოგადოების უნდობლობა. სწორად, ამ დროს გაძლიერდნენ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკები, ვინაიდან, როგორც ვიცით, ბანკები დიდად არიან დამოკიდებულნი საზოგადოებაზე და მათ მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე. სოციალური ბანკების მისიას კი ზუსტად საზოგადოების კეთილდღეობა წარმოადგენს.

2011 წლის გლობალური კრიზისის შემდეგ საბანკო ბიზნესში აქტიური გახდა სოციალური მიზნები. სოციალური ბანკი დღეს ნაკლებადაა შესწავლილი და შესაბამისად, მასთან დაკავშირებით კვლევები თუ სტატიები ნაკლებად მოიძებნება. ცნობილია გარკვეული მახასიათებლები, რომლებსაც უნდა ემყარებოდნენ და მათი საქმიანობა არ უნდა იყოს მხოლოდ მარკეტინგული ხრიკი, არამედ სოციალური საბანკო ბიზნესის მასშტაბები ფართოდ უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, ვინაიდან სოციალური ბანკის ერთ-ერთი მახასიათებელი არის მისი გამჭვირვალობა.

„**Institute for Social Banking**“-ის ([www.social-banking.org](http://www.social-banking.org)) თანახმად, სოციალური ბანკები გამოირჩევიან საერთო მახასიათებლებით, რომელიც მათ განარჩევთ სხვა კომერციული ბანკებისგან და ფორმირდებიან შემდეგნაირად: საზოგადოების საჭიროებებზე ფოკუსირება რეალურ ეკონომიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაში, გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა, მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად, მისი შემცირება და სხვა სპეკულაციურ საქმიანობებზე ჩამოშორება. ისეთი ბიზნესების დაფინანსება, რომლებიც საერთო სიკეთის მიმღები იქნება,

ზრუნვა თანამშრომლებზე, ისეთი სახის სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ რისკების მინიმიზაციას და გათვლილი იქნება გრძელვადიან პერსპექტივებზე.

პიტერ ბლომი „გლობალური ალიანსი საბანკო ფასეულობებისთვის“ თავმჯდომარე (და Triodos Bank-ის აღმასრულებელი დირექტორი), საბანკო ბაზაზე დაფუძნებულ ღირებულებებს აფასებს, როგორც „ვალდებულ ფინანსურ ინოვაციას“, რომელიც ორიენტირებულია რეალურ ეკონომიკაში ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. GABV კვლევების თანახმად, საბანკო პრინციპების საფუძველზე დაყრდნობით 2020 წელს იქნება შესაძლებელი, მიღწეულ იქნეს მსოფლიოში მილიარდი ადამიანის დაფინანსება მდგრადი საბანკო მომსახურებით. გლობალურმა ალიანსმა შეიმუშავა მდგრადი დაფინანსების და მდგრადი ბანკინგის პრინციპების მთელი რიგი, რომლებიც მიზნად ისახავს აღწეროს მდგრადი საბანკოსი სისტემის ფუნდამენტური საფუძვლები:

- **ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინდიკატორები**, როგორც "სამმაგი ხაზი" და ბიზნეს მოდელის ძირითადი საფუძველი.
- **საზოგადოებაზე დაფუძნებული** - ემსახურება რეალურ ეკონომიკას და ახალი ბიზნეს მოდელების შესაძლებლობას, დაკმაყოფილდეს ორივეს მოთხოვნილება;
- **გრძელვადიანი ურთიერთობა** მომხმარებლებთან, მათი ეკონომიკური საქმიანობის და მათთან დაკავშირებული რისკების პირდაპირი გაგება;
- **გრძელვადიანი, თვითმყოფადი და გამძლე** გარე რისკების მიმართ;
- **გამჭვირვალე და ინკლუზიური** მმართველობა;
- **საბანკო კულტურა**, რომელიც მოიცავს ამ პრინციპებს.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა პირდაპირი გაგებით კვლავინდებურად ქველმოქმედებასთან ასოცირდება. თუმცა მრავალი უმსხვილესი კომპანია, მათ შორის ბანკები, სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით საკმაოდ ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებენ და ამით ხელს უწყობენ სამოქალაქო განათლების ამაღლებას (საშუალო და უმაღლესი განათლება), ზრუნავენ გარემოზე (დაზიანებული ტყის მასივების აღდგენა, ეკოლოგია), კულტურაზე (თეატრი, კინო, მუსიკა, ხელოვნება) და საბანკო ბიზნესის მიერ გაწეული დანახარჯები CSR მიმართულებით, წლიდან წლამდე რამდენიმე ათასიდან მილიონამდე ლარის დანახარჯებს უტოლდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი არეგულირებს საბანკო სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებას და მდგრადობას. ის ეყრდნობა ჯანსაღი და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპს და ხელს უწყობს კორპორაციულ მართვაში საერთაშორისოდ აღიარებული მოწინავე პრაქტიკის დანერგვას. სტრატეგიულ მიმართულებაში ითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიზნისთვის საჭირო ქმედებებს; ეხება ჯანსაღ ორგანიზაციულ სტრუქტურას, თანამშრომლებზე, გარემოსა და სოციალურ მიმართულებებზე ზრუნვას.

მსოფლიო ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა განსხვავებული არის, რაზეც გავლენას ახდენს ქვეყნის კულტურა, ისტორია და სახელმწიფო პოლიტიკა, თუმცა CSR-ის საერთო მონახაზი ყველასთან დომინანტური არის. დღეს სოციალური ბანკები თავიანთი საქმიანობითა და დაფინანსების პრიორიტეტებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობს ზოგად ეკონომიკურ წონასწორობას. სოციალური ბანკების ამბიციური მიზანი არის

დაფინანსოს სამართლიანი ვაჭრობა, ეთიკური ბიზნესი, აგრომეურნეობა, კოპერატივები, რომლებიც მიმართულნი არიან შექმნან საზოგადოებაზე ორიენტირებული დოვლათი, ხელი შეუწყონ ბუნებაში ეკოლოგიურ პროცესებს, რომლებიც წარმოშობს ბუნებრივ რესურსებს და სოციალურ კაპიტალს.

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია სოციალურმა საბანკო ბიზნესმა იწყოს ზრდა, რისთვისაც მათ უნდა შექმნან და მიაწოდონ საზოგადოებას ისეთი პროდუქტები და მომსახურება, რომლებიც ხაზს გაუსვამენ მათ სოციალურ გავლენას, ხოლო ფინანსებს გახდიან ნაკლებ სარისკოს. ვინაიდან ბანკების უმეტესობა ეყრდნობა საკრედიტო ბიზნესს, მათ ისე უნდა გააფართოვონ თავიანთი პროდუქტების პორტფოლიო, რომ ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი პროცენტებზე. სოციალურ ბანკებს, ასევე, დასჭირდებათ ფოკუსირება მოახდინონ ისეთ სოციალურ პოზიტიურ პროექტებზე, რომელიც ხაზს გაუსვავს მათ სოციალურ მისიას, მათი მხრიდან საჭირო იქნება ისეთი ინდიკატორების შემუშავება რომელიც ნათლად აჩვენებს მათ დადებით გავლენას საზოგადოებაზე, გარემოზე და მდგრად განვითარებაზე და ბოლოს, უნდა შევთანხმდეთ, რომ ბანკები არიან სოციალური სისტემის განუყოფელი ნაწილი და რომ ყოველთვის უნდა დარჩნენ ამ ნიშაში, რათა უზრუნველყონ საბანკო ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობა და სიცოცხლისუნარიანობა.

სოციალურ პასუხისმგებლობაზე საუბრისას, არსებითი საკითხია, რომ ის არ გავაიგივოთ როგორც ქველმოქმედება, რაც ხშირად საქართველოში აღქმულია - CSR. ის შეიძლება სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ კომპონენტად ჩაითვალოს, რადგან ქველმოქმედებისგან განსხვავებით, სოციალური პასუხისმგებლობა, მოიაზრებს არა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას, არამედ ის სრულად ზრუნავს გარემოზე, სადაც საქმიანობის განხორციელება.

დასავლეთის ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეროვნული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, საქართველომაც გაითვალისწინოს მათი გამოცდილება, გაზარდოს ცნობიერება სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე კომპანიებისთვის.

გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალურ ბანკებს რეალურ ეკონომიკაში შესაძლებლობა აქვთ დაეხმარონ გლობალური ფინანსური სისტემის განვითარებას, მათივე შემუშავებული პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მასშტაბები და გავლენა საკმარისი არ არის სრული ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. დღესაც, ისინი წარმოადგენენ დაფინანსების ახალ პროგრესულ მიდგომას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საზოგადოების ცხოვრება, ხოლო მათ შეცვალონ სამყარო. ყოველივე ამას განვითარების გზაზე მყოფი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება.

## **ბიბლიოგრაფია:**

საქართველოს ეროვნული ბანკი (2018), კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, ბრძანება N215/04  
Benedikter R. (2011). Social Banking and Social Finance  
[https://www.researchgate.net/publication/248388817\\_Social\\_Banking\\_and\\_Social\\_Finance](https://www.researchgate.net/publication/248388817_Social_Banking_and_Social_Finance) (Last seen 22.04.2020)

Benedikter R. (2011). Social Banking and Social Finance, Answers to the Economic Crisis, Stanford, USA

Bowen H. (1953). Social responsibilities of the businessman, New York, Harper

INSTITUTE FOR SOCIAL BANKING (2015). Values based banking Bringing the voice of the citizen into finance, Inquiry Working paper, United Nations Environment Programme, Viena

INAISE. (2010). Networking Social Finance,(Co-author - Frans de Clerck, p. 25)

<http://inaise.org/wp-content/uploads/2016/11/07-13-2010-networking-social-finance.pdf> (Last seen 22.04.2020)

Weber O. (2011). Social Banking and the Future of Sustainable Finance

[https://www.researchgate.net/publication/259908868\\_Social\\_Banking\\_and\\_the\\_Future\\_of\\_Sustainable\\_Finance](https://www.researchgate.net/publication/259908868_Social_Banking_and_the_Future_of_Sustainable_Finance) (Last seen 22.04.2020)

Weber O. Remer S. (2011). Social Banking and the Future of Sustainable Finance, Routledge, USA

Tamar Kekutia

Master of Warsaw Management University

## **Tendencies and Challenges of Employee Voluntary Turnover**

### **Abstract**

Knowledge and experience about employee turnover accumulated over the years and centuries from researchers. Some models or methods have undergone transformation over time, but all the major initial theories nowadays is significant to achieve organizational success. Meanwhile, together with technological advances and labor trends in the world, demands of human beings are changed. Employee turnover is distinctively important topic for organizations around the world. Managing retention to keep turnover rate is one of the most challenging issues in contemporary world. Organizations should constantly pay attention how to detect personnel drain process effectively for the continuous development of business.

The best way to avoid personnel job leaving is to identify, analyze and eliminate the reasons that may cause it and try to prevent. As time goes by, companies have a shortage of qualified candidate in the long run. At the same time, continuously search for a new employee, on the job orientation and professional growth is associated with new financial expenses.

In article discussed as already known as well as unknown turnover factors. It is noteworthy that, in modern digital era it's easier to access global and local information to find a new career way out and constantly search for a new job. That's why organizations need constantly care for maintenance of talents. Even though, that leaving job is caused by various types of reasons high percentage of employee turnover rate still speaks about employee dissatisfaction. As well as, in the company where staff drain indicator is very low, it is clear that organization cares for the employees and staff is satisfied more or less with labor relationship. To avoid expenses caused by voluntary turnover, organizations need to determine problems, diagnose turnover drivers and formulate retention strategies.

*Key Words: Employee, Turnover, Retention*

### **Models of Voluntary Turnover**

Voluntary turnover is defined when an employee leaves their organization with personal desire. There are several famous models that have particular importance.



James March and Herbert Simon in 1958 first presented model about voluntary turnover. This model has attracted many researchers. Several other models have been developed and published in order to spread this first concept (Bowen and Siehl, 1997). The Theory is known as “Organizational Equilibrium” and determines the importance of equilibrium and inducement-contribution balance between employee and organization (March, 1991). According to this model, employee’s job leave decision related to job satisfaction and explains that individuals who are more satisfied with their current job conditions would indicate desire and effort to remain stable and grow professionally within (Perez and Staffelbach, 2008).

Second famous turnover model “Met Expectations” authored by Porter & Steers is still an important survey review and knowledge in organizational psychology and organizational behavior. Classic and basic definition of met expectations model specifies that individuals compare their before entry expectations about job and post-entry perceptions (Wanous, Poland, Premack and Davis, 1992). This concept determines that people always compare their expectations to the real situation in the organization associated with salary, promotion, recognition, collegiality, development possibility, working environment etc.

Next famous turnover model “Intermediate Linkages Model” by Mobley determines importance of intermediate linkages in the relationship between job satisfaction and employee turnover (Mowday, Koberg and McArthur, 1984). Author significantly presented in this model variables that link job attitudes with actual turnover behavior in turnover process.

According to “Alternative Linkages Model” withdrawal cognition mediate job dissatisfaction and exit relationship. The factors are responsible for initiation of turnover process like job dissatisfaction that is displayed after employee selection (Hom and Griffeth, 1991). Model of turnover recognizes the independent effects of job satisfaction and organizational commitment on turnover intentions. Work attitudes have direct and independent effects on intention to quit (Moynihan, Boswell and Boudreau, 2000).

“Causal Model of Turnover” by Price & Mueller represents a multilevel study theory related to job quit, that means to study all the determinants related to leaving decision. This model clarifies the need of analysis of causal accounts which is helpful and informative because it defines dynamic image of turnover. The model offers an account for all causal relationship and explains which determinants are depended on and operate to produce turnover (Price and Mueller, 1981).

“Attraction-Selection-Attrition” Model by Schneider determines that employees create themselves working environment and corporate culture, climate and the best practices. This theory is closely related to psychology and people socialization process. Three part model explains how collective characteristics of individuals define how they fit within an organization (Schneider, 1987). That model is very useful for recruitment process to attract the right audience, which candidates are similar to the existing employees and conform to a homogeneous organizational culture.

### **Research Findings and Tendencies**

According to a SHRM study, 47% of HR professionals have named employee retention and employee turnover among the top challenges for several years up to now. Losing a top performer or failing to determine reason of turnover can be detrimental for an organization's health (ZOHO People, 2018).

According to Harvard Business Review, the top points millennial looking for in a job (Goler, Gale, Harrington and Grant, 2018) is the following:

- (1) Opportunity to learn and grow
- (2) Quality of manager
- (3) Quality of management
- (4) Interest in type of work

Many researchers have highlighted that human capital development improves employee engagement at work, because it can have real value for organization and a greater impact on employee outcomes. Research has shown that engaged employees are 87 percent less likely to leave an organization. Also, employee training has a positive relationship on employee knowledge and workforce commitment. There are ways for attaining new knowledge:

(1) Workplace Learning. This option is largely experimented method in practice. Socialization on the job and interaction with colleagues can help and facilitate workplace learning (Murdoch, Stephenson, Srivastava and Mason, 2018). Encouraging employees also create content for their further successive results and skills development.

(2) Self-directed Learning. Individuals review what they have learned, what they have achieved, what their goals are, how they are going to achieve those goals and what new skills they need to acquire. Self-directed learning is becoming increasingly attractive in rapidly changing world. Self-directed learning may lead to improve firm performance.

(3) Mentoring. This method is traditionally a process in which an experienced person - mentor guides another person in the development, learning and personal/professional competence (Klinge, 2015). There should note, that mentor's own experience and qualification is particular value for the new employee. Mentoring also promotes on-the-job learning and can act as a complement to formal training (Armstrong and Taylor, 2017).

(4) E-learning. E-learning is computer-based process, where web-based technology provides learning material and guidance to employees. Web-based learning portal is established in many universities. In E-learning process may use also mobile application. E-learning programs are not as effective for developing soft skills such as team-building.

(5) Career Management. This section explains importance of employees' new opportunities for their career succession. Plan of career objectives helps to employees to achieve organizational and personal goals. Employers must ensure that employees have a career path in the organization. Career plans should be aligned with employees' goals in order to reduce employee turnover and increase employee engagement (Byrne, 2014). The researchers examined that participation in tuition reimbursement reduces turnover while employees are in school. The results demonstrated that, for individuals who enter a firm and who are not already college graduates, tuition reimbursement program is a particularly effective way to encourage employees to enhance their career prospects within the organization. Various studies also showed that employee turnover increases when individuals earn their graduate degrees.

(6) Non-cognitive Abilities. Many researchers have highlighted about non-cognitive skills, such as character skills, personality traits, goals, motivations and preferences which are growing in value. Researches examine the role or personalities, attitudes and mindsets in relation to human and social capital and workplace outcomes. A proactive personality is positively associated with interpersonal help and negatively associated with turnover intention. There are a number of studies that have examined the relationship between psychological capital and employee outcomes (Luthans, Rhee, Luthans and Avey, 2008). It is recommended periodical short training for employees that includes confidence-

building sessions and goal-setting sessions to enhance efficacy, optimism and hope. That dissatisfaction can lead directly to voluntary turnover if the employee has no access to information about ongoing career paths within the organization. The respondents said in one study, they left their job because they were looking new challenges or opportunities that were lacking with their previous employer (Oracle White Paper, 2012).

The cost of employee turnover is widely debated around the world. Many argue that estimated turnover cost is 100%-150% of the incumbent's salary, while others estimates it is around 30% of the incumbent's salary. The entire figure includes advertising the vacancy openings, interviewing, testing, placing and on-boarding new employee. Besides this, the impact on productivity and morale of the existing team and errors during ramping up to competency can be as much as 200% of employee's annual salary (McPherson, 2019). Employee turnover is costly since it involves the costs of losing knowledge and losing investments in employees who left. Retention activities help to organizations to maintain talents and optimize personnel costs (Dess and Shaw, 2001). The employer enjoys the benefit in the long-run- a strong pipeline of employees, filled positions and engaged workforce that leads to lower turnover (CareerBuilder, 2018).

After two years research-based interviews with hundreds of clients, Deloitte University Press suggests new model for engagement for turnover reduction ([Bersin, 2015](#)):

- (1) Meaningful work
- (2) Hands-on management
- (3) Positive work environment
- (4) Growth Opportunity
- (5) Trust in leadership

Turnover often starts with poor selection decision, compounded by inadequate training, insensitive appraisal and inequitable pay (Dessler, 2013). According to GLASSDOOR economic research report, every job transition adds another line to employee resume and it also opens the door to new career challenges and opportunities (Smart and Chamberlain, 2016):

- (1) Promotion
- (2) Better pay
- (3) Fresh start with a new employer
- (4) Move to a new location
- (5) Entry into an entirely new profession

GLASSDOOR researchers extracted from 2007 to 2016 unique 4,592 resumes shared by job seekers and according survey result presented basic facts about career transitions:

- (1) Trend #1: Most employees leave their company when they change jobs. Employees quit current job when they are ready to move on their next job.
- (2) Trend #2: Most employees change jobs frequently: researches explain that many employers review and promote employees based annual cycle and workers leave for a new employer before these annual points.
- (3) Trend #3: Representatives of some industries change jobs far more often. By report the most frequent job changes is in the construction industry, repair and maintenance. Employees in this sectors change job in every 10.6 months on average. For example, most construction work is

seasonal and workers routinely change employers after each project is completed. In public sector roles are more stable.

- (4) Trend #4: When workers change jobs, they usually get a pay raise. Employees change jobs for many reasons. Some are promoted to senior and upper positions or some make horizontal moves into new job functions.
- (5) Trend #5: When workers leave employers, it's usually for better culture. Researchers examined six measures of company culture: overall rating, career opportunities, compensation and benefits, culture and values, work-life balance and quality of senior management.

Statistical analysis reveals three factors that impact on employee retention:

- (1) Company culture
- (2) Employee salary
- (3) Stagnating for a long period in the same job.

Following the example of one of the largest and most popular companies, according to Harvard Business Review (Goler, Gale, Harrington and Grant, 2018) really reason to quit job in Facebook often is to have a horrible boss. Therefore, Facebook tries to select and develop great managers and to receive feedbacks from respondents that they're happy with their managers. Different reasons caused by horrible head:

- (1) Job is not enjoyable
- (2) Employees' strengths are not being used
- (3) Employees' are not growing in their career.

By team leaders' opinion in Facebook, the best manager is always ready to listen to the subordinates. They encourage employees to show strong strengths. When employee has a manager who constantly cares about her/his successful career and happiness, it is incredible to think about leaving the job and working elsewhere.

According to sixth edition of "Human Resource Management" Taylor and his colleagues in 2002 interviewed 200 people who had recently changed employers about why they left their last job (Torrington, Hall and Taylor, 2005).

There are three the most common reasons:

- (1) Dissatisfaction with the conditions of work
- (2) Perception that they were not being given sufficient career development opportunities
- (3) Bad relationship with their immediate supervisor

In Georgia in 2019 interviewed up to 200 people who had recently left employers about why they left last job. Important 5 factors have been identified to avoid employee voluntary turnover:

- (1) Relevant Salary/Compensation for them
- (2) Opportunity for professional growth
- (3) Clearly defined labor conditions
- (4) Knowledge strategies and goals of organization
- (5) Harmonious relationships with supervisor and colleagues.

All Research shows a strong correlation between positive employee experience and high retention rate (EXimpact, 2019). Within the scope of presented research and trends, explored factors that cause employee voluntary turnover has key importance for TOP managers, business owners, HR professionals and individuals interested in stability of human resources around globe. Overall, it is important to study the factors in organizations which originates employee dissatisfaction.

## References:

- Armstrong, M., Taylor, S. (2017). *Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice*. 14th Edition, London
- Bersin, J. (2015). Becoming irresistible: A new model for employee engagement. *Deloitte Insight*. Deloitte Review Issue 16. Retrieved 20 February 2020, from <https://www2.deloitte.com/insights/us/en/deloitte-review/issue-16/employee-engagement-strategies.html> Retrieved 8 February 2020
- Bowen, D.E., Siehl, C. (1997). The Future of Human Resource Management: March and Simon (1958) Revisited. *Human Resource Management*, 36 (1), Pp. 57– 63.
- Byrne, Z.S. (2014). *Understanding Employee Engagement*. Routledge, Taylor and Francis Group, New York and London, doi:10.4324/9780203385944
- CareerBuilder (2018). State of recruitment and on-boarding report. 2018 Report. <https://resources.careerbuilder.com/human-capital-management/state-of-recruiting-and-onboarding-report-2018> Retrieved 16 February 2020
- Dess, G.G., Shaw, J.D. (2001). Voluntary Turnover, Social Capital and Organizational Performance. *Academy of Management Review*. Vol. 26, No. 3, Pp. 446-456. University of Kentucky
- Dessler, G. (2013). *Human Resource Management*, 13th Edition. Florida International University, Pearson Education, Inc., publishing
- EXimpact (2019). How to hire & retain the right talent in 2019. Report of HR Metrics & Analytics Summit. The state of people analytics., <https://www.predictiveindex.com/blog/how-talent-optimization-can-help-you-hire-and-retain/> Retrieved 10 February 2020
- Goler, L., Gale, J., Harrington, B., Grant, A. (2018). Why People Really Quit Their Jobs. Harvard Business Review. Retrieved 16 February 2020: <https://hbr.org/2018/01/why-people-really-quit-their-jobs>
- Hom, P.W., Griffeth, R.W. (1991). Structural Equations Modeling Test of a Turnover Theory: Cross-sectional and Longitudinal Analyses. *Journal of Applied Psychology*, 76(3), Pp.350–366. doi:10.1037/0021-9010.76.3.35
- Klinge, C.M. (2015). A Conceptual Framework for Mentoring in a Learning Organization. *Adult Learning*, 26(4), Pp.160–166. doi:10.1177/1045159515594154
- Luthans, F., Rhee, S., Luthans, B.C., Avey, J.B. (2008). Impact of Behavioral Performance Management in a Korean Application. *Leadership & Organization Development Journal*, 29(5), Pp. 427–443. doi:10.1108/01437730810887030
- March, J.G. (1991). Exploration and Exploitation in Organizational Learning. *Informa Institute for Operations Research and Management Sciences*. Pp. 71-87
- McPherson, J. (2019). Using predictive analytics to forecast employee turnover. The tools to tell you who's going to leave, and why? Culture Amp.
- Mowday, R.T., Koberg, Ch.S., McArthur A.W. (1984). The Psychology of the Withdrawal Process: A Cross – Validation Test of Mobley's Intermediate Linkages Model of Turnover in Two Samples. *The Academy of Management Journal* 1, Pp. 79-94
- Moynihhan, L.M., Boswell, W.R., Boudreau, J.W. (2000). The Influence of Job Satisfaction and Organizational Commitment on Executive Withdrawal and Performance. Cornell University, School

of Industrial and Labor Relations, Center for Advanced Human Resource Studies, Pp. 00-16.

Murdoch, D., Stephenson, M., Srivastava, S., Mason, J. (2018). Study focused on challenges in the L&D space. Corporate Learning Report. HR Exchange Network.

Oracle White Paper (2012). Talent Retention: Six Technology-Enabled Best Practices. U.S.A.

Perez, M., Staffelbach, B. (2008). Turnover Intent. Human Resource Management. Diploma Thesis. University of Zurich

